

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 6

ნარკოტიკული

დანაშაული

1. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება
2. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

1. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება

განჩინება

#1233-აპ-08

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ა. მ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენით:

ბ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან 5 წელი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ბ. მ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2005 წლის 14 დეკემბრიდან 2005 წლის 16 დეკემბრამდე.

ვ. ხ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 10000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან.

გ. წ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან.

ა. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

ბ. მ-შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული, თეთრი ფერის სამი აბი წონით - 0.4 გრამი, 0.4 გრამი და 0.033415 გრამი, რომლებშიც ნარკოტიკული ნივთიერება "ბუპრენორფინის" საერთო შემცველობაა 0.0227 გრამი; გ. წ-რის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული მოყვითალო ფერის გრანულისებრი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" საერთო წონით - 0.103 გრამი; ვ. ხ-იანის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ოთხი აბი წონით - 0.4 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება "ბუპრენორფინის" საერთო შემცველობაა 0.032 გრამი; ა. მ-იანის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული თითო-თითო მთელი აბი, წარწერით "B8", მოთავსებული კონვალუტის ერთბუდიან გადანაჭერში, წარწერით "შUBOთEX 8მგ"; "პლოუნგ", საერთო წონით 0.8 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება "ბუპრენორფინის" საერთო შემცველობაა 0.016 გრამი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, გ. წ-რის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 1600 ლარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების: ბ. მ-შვილის, ვ. ხ-იანის, გ. წ-რისა და ა. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. წ-რმა განიზრახა გასაღების მიზნით ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" აბების შექმნა. ამ მიზნით გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, თავის მეზობელ ა. მ-იანისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით - 0,0547 გრ. ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" შვიდი აბი, რომლებიც 2006 წლის 18 დეკემბერს უკანონოდ გაასაღა თავის მეზობელ ვ. ხ-იანზე.

მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან გასაღების მიზნით უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", რომელიც ასევე უკანონოდ შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში.

გატარებული ღონისძიების შედეგად 2006 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათსა და 20 წუთზე, საქართველოს შს სამინისტროს სოდ-ის თანამშრომლებმა ქ. თბილისში დააკავეს გ. წ-რი. მოგვიანებით გაიჩხრიკა მისი ბინა, საიდანაც ამოიღეს დიდი ოდენობით - 0,103 გრ. ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

სულ გ. წ-რისაგან ამოიღეს: ა. მ-იანისაგან უკანონოდ შეძენილი, შენახული და ვ. ხ-იანზე უკანონოდ გასაღებული 7 ოვალური ფორმის აბი, რაც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,0547 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს" და მის მიერ გამოძიებით დადგენილი პირისაგან ასევე უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი ოდენობით - 0,103 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

ა. მ-იანმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით - 0,0707 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" ცხრა აბი, რომელთაგან გამოძიებით დაუდგენელ დროს შვიდი აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,0547 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს", უკანონოდ გაასაღა თავის მეზობელ გ. წ-რზე, დარჩენილი ნაწილი კი უკანონოდ შეინახა.

გატარებული ღონისძიების შედეგად 2006 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 22 საათსა და 45 წუთზე, საქართველოს შს სოდ-ის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, დააკავეს ა. მ-იანი, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი 1 ცალი აბი, რომელიც შეიცავს 0,008 გრამ ნარკოტიკულ ნივთიერება "ბუპრენორფინს". მოგვიანებით გაიჩხრიკა მისი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში საიდანაც ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი 1 აბი, რომელიც შეიცავს 0,008 გრამ "ბუპრენორფინს". სულ ა. მ-იანისაგან ამოიღეს მის მიერ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეძენილი, შენახული და გ. წ-რზე უკანონოდ გასაღებული 9 ოვალური ფორმის აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,707 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს".

ბ. მ-შვილს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, შეეცვალა 5 წლით პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

ბ. მ-შვილმა 2006 წლის 18 დეკემბერს ვ. ხ-იანისაგან 720 ლარად უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" სამი აბი, რაც უკანონოდ შეინახა შარვლის წინა, მარცხენა ჯიბეში.

გატარებული ღონისძიების შედეგად 2006 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 13 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს შს სოდ-ის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, დააკავეს ბ. მ-შვილი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის გამო, კანონით დადგენილი წესით ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს "სუბოტექსის" სამი აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,0227 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს".

ვ. ხ-იანმა 2006 წლის 18 დეკემბერს ქ. თბილისში, მცხოვრებ გ. წ-რისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" 7 აბი, საიდანაც სამი აბი 720 ლარად უკანონოდ გაასაღა ბ. მ-შვილზე, ხოლო დანარჩენი 4 აბი უკანონოდ შეინახა თავისი შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში.

გატარებული ღონისძიების შედეგად 2006 წლის 18 დეკემბერს დაახლოებით 17 საათსა და 20 წუთზე, საქართველოს შს სოდ-ის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, დააკავეს ვ. ხ-იანი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის გამო, კანონით დადგენილი წესით ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს 4 ოვალური ფორმის აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,032 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს".

სულ ვ. ხ-იანისაგან ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი, შენახული და მ. მ-შვილზე უკანონოდ გასაღებული შვიდი ოვალური ფორმის აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,0547 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს".

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. მ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული; განაჩენი არის უკანონო; სასამართლომ არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; განაჩენის დადგენისას დაირღვა კანონის ყველა მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, სარევიზიო წესით შეამოწმა საქმის მასალები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ მსჯავრდებულ ა. მ-იანის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაული, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - გ. წ-რის და ა. მ-იანის ჩვენებებით; მოწმეების - თ. მ-შვილისა და ლ. კ-იანის ჩვენებებით; მსჯავრდებულ გ. წ-რის 2006 წლის 18 დეკემბრის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით; მსჯავრდებულ ა. მ-იანის 2006 წლის 18 დეკემბრის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმებით; 2006 წლის 19 დეკემბრის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. მ-იანმა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა, შენახვა, ხოლო მსჯავრდებულმა გ. წ-რმა - დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა, შენახვა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების - ა. მ-იანისა და გ. წ-რის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ, განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ ვ. ხ-იანის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებს, - მსჯავრდებულმა ვ. ხ-იანმა წინასწარ გამოძიებაში ეჭვიმტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ გ. წ-რისაგან შეიძინა შვიდი აბი, რომლის ნაწილი, კერძოდ სამი აბი უკანონოდ გაასაღა ბ. მ-შვილზე, ხოლო ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ მას რამდენჯერმე აქვს ნაყიდი ნარკოტიკული საშუალება თავის მეზობლად მცხოვრებ ა. მ-იანისაგან. აღნიშნული ჩვენებები მან დაადასტურა სასამართლო პროცესზეც.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ ვ. ხ-იანის ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულების - გ. წ-რისა და ა. მ-იანის ქმედებებში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მსჯავრდებულ ვ. ხ-იანის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდებთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ ეს პირები მსჯავრდების ამ ეპიზოდებში დამნაშავედ იქნენ ცნობილნი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს - გ. წ-რსა და ა. მ-იანს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ ნარკოტიკული საშუალებების გასაღება და მათ მსჯავრი უნდა დაედოთ იმ ნარკოტიკული ნივთიერების სახეობისა და ოდენობის მიხედვით, რაც მათ აღმოაჩნდათ პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ, მსჯავრდებულ გ. წ-რის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ ფულად

თანხაზე - 1600 ლარზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებაზე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას".

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებითა და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულ გ. წ-რის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა - 1600 ლარი არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამიტომ მსჯავრდებულ გ. წ-რის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა - 1600 ლარი უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის I ნაწილზე და მას მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე უნდა გაუნახვერდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენიდან გ. წ-რის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "დ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, 567-ე, 568-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. მ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულებს - ა. მ-იანსა და გ. წ-ურს განაჩენიდან ამოერიცხოთ მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე.

მსჯავრდებულ ა. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილზე და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე გაუნახვერდეს.

მსჯავრდებულ ა. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 18 დეკემბრიდან.

გასაჩივრებული განაჩენიდან გ. წ-ურის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "დ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ გ. წ-ურს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 18 დეკემბრიდან.

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი, გ. წ-რის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხის - 1600 ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მსჯავრდებულ გ. წ-რის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ფულადი თანხა - 1600 ლარი დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#1371-აპ-08

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჭ-ლისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ვას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორ თ. ჭ-შვილსა და განსასჯელ რ. გ-შვილს შორის 2008 წლის 6 ივნისს დადებული საპროცესო შეთანხმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით:

რ. გ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ რ. გ-შვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, რ. გ-შვილისათვის დანიშნულ სასჯელს დაემატა აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 7 თვე, 1 დღე და საბოლოოდ რ. გ-შვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით, 7 თვითა და 1 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 24 ოქტომბრის 15.00 საათიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. გ-შვილს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები.

კ. ჭ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 24 ოქტომბრის 17.55 საათიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. ჭ-ლს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

70 თეთრი ფერის ოვალური ფორმის აბი წარწერით "B8", 35 თეთრი ფერის ოვალური ფორმის აბი წარწერით "B8", 6 თეთრი ფერის ოვალური ფორმის აბი წარწერით "B8", თეთრი ფერის ფხვნილი, წონით 0,043 გრ, თეთრი ფერის მრგვალი ფორმის 4 აბი წარწერით "PB", აგრეთვე ამპულები და შპრიცები, ასევე 112 თეთრი ფერის ოვალური ფორმის აბი, 1 ოვალური ფორმის აბი, 10 თეთრი ფერის ცალ მხარეს ოვალური ფორმის აბის ნატეხი, 20 თეთრი ფერის ოვალური

ფორმის აბი, 16 კონვალუტა წარწერით "B8", ვრცხლისფერ ფოლგის ქაღალდში მოთავსებული, ოვალური ფორმის აბი წარწერით "B8", რომლებიც ინახება თბილისისა და მცხეთა-თიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

ქარხნული წესით დამზადებული, 1895 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრის, 1909 წელს გამოშვებული "ნაგანის" სისტემის რევოლვერი, რომელზეც ნომერი გადაშლილია, ერთი ცალი ამავე იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნის მასრა - 7.62 მმ კალიბრის, რომელიც ინახება თბილისისა და მცხეთა-თიანეთის საპატრულო პოლიციაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს.

განაჩენით მსჯავრდებულ რ. გ-შვილისა და კ. ჭ-ლის დანაშაულები გამოიხატა შემდეგში:

რ. გ-შვილი კ. ჭ-ელს დაუკავშირდა დანაშაულებრივად, რომლისგანაც რამდენჯერმე, მათ შორის, დაკავების წინა დღეს შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“. რ. გ-შვილს 2007 წლის 24 ოქტომბერს, დაახლოებით 15.00 საათზე, თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირზე # სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობისას ვიზუალურად აღენიშნებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედება, რის გამოც იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს. რ. გ-შვილი ნარკოტიკული საშუალების გადაგდებას შეეცადა, რის გამოც იგი დაკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს წითელი ფერის პაკეტი, რომელშიც აღმოჩნდა ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული 10 აბის ნატეხი, ხოლო ქურთუკის მარცხენა შიდა გულის ჯიბიდან ამოიღეს ვინსტონის მარკის სიგარეტის კოლოფი, რომელშიც მოთავსებული იყო ასევე ვერცხლისფერ ქაღალდში მოთავსებული, დაფასობული 20 აბი, ლოგოთი „ბ8“. იმავე დღეს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გ-შვილის საცხოვრებელ ბინაში ჩატარდა ჩხრეკა და მისი მითითებით ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი 113 აბი სამედიცინო საშუალება „სუბოტექსი“. სულ რ. გ-შვილის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს ჭკუასელი-საგან შექმნილი 133 მთლიანი აბი და 10 აბის ნატეხი „სუბოტექსი“.

იმავე დღეს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რ. გ-შვილის მეუღლის - თ. კ-ძის საცხოვრებელ ბინაში ჩატარდა ჩხრეკა, რა დროსაც მის საძინებელ ოთახში არსებული კარადიდან ამოიღეს „ნაგანის“ სისტემის უნომრო რევოლვერი, რომელიც რ. გ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა და ინახავდა მართლსაწინააღმდეგოდ.

2007 წლის 23 ოქტომბერს კ. ჭ-ელმა რ. გ-შვილზე გაასაღა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი 133 მთლიანი აბი და 10 აბის ნატეხი „სუბოტექსი“.

2007 წლის 24 ოქტომბერს დააკავს რ. გ-შვილი, რომლის ჩვენების საფუძველზე გატარებული საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიების შედეგად თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის # კორპუსის წინ მდგარ ავტომანქანა „მაზდა-ში“, მჯდომი კ. ჭ-ლი დააკავეს, რომლის პირადი ჩხრეკისას შარვლის შიგნიდან ამოიღეს ყავისფერ ტყავის საფულეში მოთავსებული წამლის ფირფიტა, მასში მოთავსებული ოვალური ფორმის 4 აბით, ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში მოთავსებული თეთრი ფერის ფხვნილი და 2 ოვალური ფორმის აბი წარწერით „ბ8“. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მის ავტომანქანა „მაზდა-ს“ ჩაუტარდა ჩხრეკა, რა დროსაც სალონის უკანა სავარძლის ქვემოდან ამოიღეს წამლის 10 ფირფიტა წარწერით „სუბოტექსი“, რომელშიც მოთავსებული იყო 70 აბი. იმავე დღეს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, კ. ჭ-ლის საცხოვრებელ ბინაში ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოიღეს წამლის 5 ფირფიტა, წარწერით „სუბოტექსი“, რომელშიც მოთავსებული იყო 35 აბი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული კ. ჭ-ლი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ვა საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდების ნაწილში გამართლებასა და სასჯელის 8 წლამდე შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არც ერთ განაჩენში არ არის მითითებული და ახსნილი, რატომ არის მიჩნეული ჭეშმარიტებად რ. გ-შვილის ჩვენება და არ არის გაზიარებული, კ. ჭ-ლის ჩვენება; რა მტკიცებულებები და რა ობიექტური გარემოება მიანიშნებს თუნდაც კ. ჭ-ლის განზრახვაზე, რომ სურდა და გაასაღა გ-შვილზე ნარკოტიკული საშუალება; არ არის დაზუსტებული რა რაოდენობით ნარკოტიკები აღმოაჩნდა კ. ჭ-ლს; კ. ჭ-ელს ბრალი უნდა დაედოს ნარკოტიკული საშუალების არა უკანონო გასაღებაში, არამედ - იმ რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების (111 აბი „სუბოტექსი“) უკანონოდ შექმნა - შენახვაში, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა ჩხრეკისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ კ. ჭლისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ვას საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - რ. გ-შვილისა და კ. ჭლის ჩვენებებით; მოწმეების - დ. კ-შვილისა და ლ. ს-შვილის ჩვენებებით; საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 25 ოქტომბრის #1412/სქ და #1411/სქ ექსპერტიზის დასკვნებით; მსჯავრდებულების - რ. გ-შვილისა და კ. ჭლის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით; ბინის ჩხრეკის ოქმებით; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით; ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით; ბალისტიკური ექსპერტიზის #6/2-145/ბ და #6/3-76/ბ დასკვნებით; ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ დადგენილებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა კ. ჭლმა ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის მითითებულ ნაწილში გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ კ. ჭლის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ რ. გ-შვილის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებს, კერძოდ: მსჯავრდებულმა რ. გ-შვილმა წინასწარ გამოძიებაში ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ მას დაუკავშირდა მისი ნაცნობი კ., რომელმაც სთხოვა შეხვედრა, რა დროსაც გადასცა 5 ფირფიტა ანუ 35 აბი ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი". დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კ. მას ხელმეორედ დაუკავშირდა და შესთავაზა ნარკოტიკის შექმნა. შეხვედრისას კ. გადასცა დაახლოებით 20 ფირფიტამდე ანუ 140 აბი ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი". აღნიშნული ჩვენებები მან დაადასტურა სასამართლო პროცესზეც.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ რ. გ-შვილის ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ კ. ჭლის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მსჯავრდებულ რ. გ-შვილის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდებთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულის აღნიშნული ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მსჯავრდებული კ. ჭლი მსჯავრდების ამ ეპიზოდებში დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ჭლს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე და მას მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა - შენახვაში, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა პირადი, ავტომანქანისა და საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ჭლს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ჭლს, როგორც ნარკოტიკული საშუალების ხელშემწყობს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ კ. ჭ-ლს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჭ-ლისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. ჭ-ლს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე.

მსჯავრდებულ კ. ჭ-ელს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც დაეწყოს 2007 წლის 24 ოქტომბრის 17.55 საათიდან.

კ. ჭ-ლს, როგორც ნარკოტიკული საშუალების ხელშემწყობს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ კ. ჭ-ლს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#902-აპ-08

5 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. დ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენით კ. გ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა", "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 29 ივნისიდან.

განაჩენით კ. გ-შვილს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში, ჩადენილი არაერთგზის, იმის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXVIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

კ. გ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუა-

ლება "ბუპრენორფინის" შემცველი აბები, რომლის ნაწილი - 0,06084 გრამი, საერთო წონით 3,04305 გრამი, 2007 წლის 18 აპრილიდან 22 მაისამდე, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სამჯერ, სულ 1950 ლარად უკანონოდ გაასაღა ა. ბ-მეზე, კერძოდ:

2007 წლის აპრილში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, კ. გ-შვილი შეხვდა თავის სიძეს (ძმის-შვილის მეუღლეს), ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ ა. ბ-მეს, რომელსაც შესთავაზა სუფთა ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი სამედიცინო პრეპარატის - "სუბო-ტექსის" ნახევარი აბის მიყიდვა 130 ლარად, რის შემდეგაც, შეთანხმებისამებრ კ. გ-შვილმა ა. ბ-მეზე 650 ლარად გაასაღა 0,02028 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი აბების ნატეხები, საერთო წონით 1,01435 გრამი.

კ. გ-შვილმა იმავე პერიოდში, დაუდგენელ ვითარებაში, ა. ბ-მეზე 650 ლარად კვლავ გაასაღა 0,02028 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი აბების ნატეხები, საერთო წონით 1,01435 გრამი.

2007 წლის მაისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, კ. გ-შვილმა ა. ბ-მეზე 650 ლარად კვლავ გაასაღა 0,02028 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი აბების ნატეხები, საერთო წონით 1,01435 გრამი.

2007 წლის 29 ივნისს, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კ. გ-შვილი თავისი კუთვნილი ა/მანქანით იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, რა დროსაც დააკავეს შსს სოდ-ის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა. პოლიციის მუშაკებმა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული კ. გ-შვილის პირადი ჩხრეკისას, მისი სპორტული შარვლის მარცხენა, გვერდითი ჯიბიდან ამოიღეს ვერცხლისფერ ქაღალდში ოთხ პაკეტად დაფასოებული, თეთრი ფერის აბების ნატეხები, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას საძინებელი ოთახის კედელთან მდგარი შავი ფერის კომოდის მარცხენა უჯრიდან ამოიღეს ვერცხლისფერ ქაღალდში შეფუთული, თეთრი ფერის მოგრძო აბი, წარწერით "ბ8", რომლებიც, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი აბების ნატეხებს, საერთო წონით 1,1791 გრამი, რაშიც ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" საერთო შემცველობაა 0,02358 გრამი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსმა პროკურორმა დ. ფ-მემ და მსჯავრდებულ კ. გ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-შვილმა.

აპელანტი - დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი დ. ფ-მე ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ექვმიტანილ კ. გ-შვილისაგან ამოღებული ა/მანქანის მისი მესაკუთრისათვის დაბრუნების ნაცვლად, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას.

აპელანტი - მსჯავრდებულ კ. გ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი გ. დ-შვილი ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება შემდეგი მიმართებით: კ. გ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ე" ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე კ. გ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. სააპელაციო საჩივრებში ისინი აღნიშნავენ, რომ კ. გ-შვილი არის მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი და არა რეალიზატორი, შესაბამისად მას ა. ბ-მისათვის არასოდეს მიუყიდა ნარკოტიკული საშუალებები, არც 2007 წლის 21 მაისს შეხვედრია, ვინაიდან იმ დღეს იყო მისი ქალიშვილის დაბადების დღე და სახლიდან საერთოდ არ გასულა. კასატორები ასევე უთითებენ, რომ კ. გ-შვილს არც დაკავებისას და არც საცხოვრებელ ბინაში ნარკოტიკული საშუალებები არ ჰქონია და რომ იგი მას პოლიციელებმა ჩაუდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ კ. გ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - შ. კ-მის, ბ. ნ-მის ჩვენებებით, კ. გ-შვილის დაკავების, პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის

ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის განაჩენითა და ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ კ. გ-შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ კ. გ-შვილის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე ა. ბ-ძის ჩვენებას, რომლის თანახმად, იგი შეხვდა კ. გ-შვილს 2007 წლის 21 მაისს, ქ. ქუთაისში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ამ უკანასკნელისგან 650 ლარად შეიძინა 2 მთლიანი და ერთი ნახევარი აბი "სუბოტექსი". მისივე ჩვენებით, მას ადრევე შეუძენია კ. გ-შვილისგან ნარკოტიკული საშუალებები. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე ა. ბ-ძის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მოწმე ა. ბ-ძის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. გ-შვილს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება და, შესაბამისად, მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ, მსჯავრდებულ კ. გ-შვილის ბინის ჩხრევისას ამოღებულ თანხაზე - 700 ლარზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებაზე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას".

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებითა და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულ კ. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას ამოღებული თანხა - 700 ლარი არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამიტომ მსჯავრდებულ კ. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას ამოღებული თანხა - 700 ლარი უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

პალატას ასევე მიაჩნია, რომ კ. გ-შვილის მიმართ შერაცხული ბრალდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით უნდა დარჩეს უცვლელად. მართალია კ. გ-შვილს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ა. ბ-ძეზე ნარკოტიკული საშუალების (მთლიანობაში 0,06084 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი აბების) გასაღება, მაგრამ როგორც საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 30 ივნისის სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, კ. გ-შვილის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას ამოღებული ნივთიერებები წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი აბებისა და აბის ნატეხებს, საერთო წონით 1,1791 გრამს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" საერთო შემცველობაა 0,02358 გრამი. ხოლო საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის თანახმად დიდ ოდენობად ითვლება 0,012 გრამზე მეტი წონის "ბუპრენორფინი".

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. გ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. დ-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. გ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ კ. გ-შვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის კანონი), რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვროს - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, კ. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული თანხის - 700 ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მსჯავრდებულ კ. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 700 ლარი დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#1434-08

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. მ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისის განაჩენით:

დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულ გ. კ-შვილს შორის 2008 წლის 30 ივნისის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

გ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

მსჯავრდებულ გ. კ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2008 წლის 16 აპრილიდან - 2008 წლის 3 მაისამდე.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გ. კ-შვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა მისი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 4500 ლარი და 295 აშშ დოლარი.

მსჯავრდებულ გ. კ-შვილს 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ვ. მ-მე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 5000 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 აპრილიდან.

მსჯავრდებულ ვ. მ-მეს 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

ვ. მ-მის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0.0035 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი, 0.0031 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ აბის ნატეხი, 0.48 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“, 0.0085 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ ფხვნილი და 0.0675 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ შემცველი ფხვნილი, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

გ. კ-შვილის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული 0.314234 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ 37 აბი, აბის ნატეხი, ფხვნილი და სითხე, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების ჩანაწერი ჩD დისკზე, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენით მსჯავრდებულების - ვ. მ-მისა და გ. კ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. მ-მემ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, 2008 წლის აპრილში დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, ერთდროულად უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0.48 გრ. ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“, დიდი ოდენობით - 0,0675 გრ. ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით 0,329634 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ 37 აბი, აბის 2 ნატეხი, ფხვნილი და სითხე, საიდანაც ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,314534 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ 37 აბი, აბის ნატეხი, ფხვნილი და სითხე, 2008 წლის 14 აპრილს ქ. თბილისში უკანონოდ გაასაღა გ. კ-შვილზე, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენს ინახავდა უკანონოდ.

2008 წლის 16 აპრილს, 11.00 საათზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ვ. მ-მე, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს 0.0035 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი. იმავე დღეს გაიჩხრიკა ვ. მ-მის საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღეს 0.48 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“, 0.0031 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ აბის ნატეხი, 0.0085 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი და 0.0675 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ შემცველი ფხვნილი.

გ. კ-შვილმა, მცხოვრებმა ქ. თბილისში, 2008 წლის 14 აპრილში საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. მ-მისაგან შემდგომი გასაღების მიზნით უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0.314534 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ 37 აბი, აბის ნატეხი, ფხვნილი და სითხე, საიდანაც ნაწილი - 0.0003 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი, პრეპარატ „სუბუტექსის“ შემცველი მცირეოდენი ფხვნილი 2008 წლის 16 აპრილს უკანონოდ გაასაღა თავის საცხოვრებელ ბინაში ბ. დ-შვილზე.

2008 წლის 16 აპრილს, 14.05 საათზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გ. კ-შვილი დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ამოიღეს 0.314234 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ 37 აბი, აბის ნატეხი, ფხვნილი და სითხე. იქვე ჩატარდა ბ. დ-შვილის პირადი ჩხრეკა, რომლის შედეგად ამოიღეს იმავე დღეს გ. კ-შვილისაგან უკანონოდ შეძენილი 0.003 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ შემცველი მცირეოდენი ფხვნილი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით გასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უზუსტობა და მიეთითა შემდეგი სიტყვები: "საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, მსჯავრდებულ გ. კ-შვილის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული, "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, და მაგთის სიმზარათი, რომლებიც ინახება შსს სოდი-ის სპეციალურ საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ უნდა გადაეცეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს."

მსჯავრდებული ვ. მ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. დ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმ მოტივით, რომ ის უტყუარი მტკიცებულებები, რომელთა არსებობას და კანონიერებას არც მსჯავრდებული ვ. მ-ძე აპროტესტებს, არ წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების იმ ოდენობას, რის საფუძველზეც ვ. მ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით; ვ. მ-ძის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებული ვ. მ-ძე არის ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი და არა გამსაღებელი; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ გ. კ-შვილის შეუსაბამო ჩვენებას, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის თანახმადაც: „განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას"; მსჯავრდებულ გ. კ-შვილის ჩვენებები ერთმანეთთან შეუსაბამოა, დაუშვებელია ამ ჩვენებათა ჩათვლა უტყუარ მტკიცებულებად და ვ. მ-ძის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით; საქმეში დევს სატელეფონო საუბრების ამონაწერები, რომელთაგან არც ერთი არ წარმოადგენს მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. მ-ძემ კ-შვილს გადასცა 50 აბი "სუბუტექსი", თუმცა ვარაუდის დონეზე აშკარად ჩანს, რომ პირიქით, ვ. მ-ძე ცდილობდა მიეღო რაღაც კ-შვილისაგან და მის ზარს ელოდებოდა; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-შვილის ჩვენების საფუძველზე ვ. მ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია უსაფუძვლოა და არღვევს საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნებს; სისხლის სამართლის საქმის წარმოების პირველ ეტაპზე მსჯავრდებულ ვ. მ-ძის მიმართ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაირღვა მისი დაცვის უფლება, რისი დამადასტურებელი აუდიომასალა თან ერთვის საკასაციო საჩივარს; აღნიშნული გარემოების გამო, მსჯავრდებულის ინტერესების დაცვის მიზნით, პირველი ინსტანციის სასამართლოში არანაირი საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა; მსჯავრდებულ ვ. მ-ძისათვის მისჯილი სასჯელი არ შეესაბამება მის ქმედებას და პიროვნებას, რადგან არც ერთი უტყუარი მტკიცებულება არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. მ-ძის ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, მ-ძის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების სახეები და ოდენობა არ მიუთითებს მათი გასაღების მიზანზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - გ. კ-შვილისა და ვ. მ-აძის ჩვენებებით; მოწმეების - ლ. ტ-ძისა და რ. თ-შვილის ჩვენებებით; 2008 წლის 17 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის დასკვნებით; ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით; ბინის ჩხრეკის ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ვ. მ-ძემ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის მითითებულ ნაწილში გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-ძის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ გ. კ-შვილის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებს, კერძოდ: მსჯავრდებულმა გ. კ-შვილმა წინასწარ გამოძიებაში ექვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ

2008 წლის 14 აპრილს ვ. მ-მემ გადასცა ორმოცდაათამდე აბი "სუბუტექსი" უსასყიდლოდ და უთხრა, რომ ფული მაშინ მიეცა, როცა ექნებოდა. აღნიშნული ჩვენება მან დაადასტურა სასამართლო პროცესზე.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილ ჩი დისკზე არსებული სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების ჩანაწერით მსჯავრდებულ ვ. მ-ძის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ გ. კ-შვილის ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ ვ. მ-ძის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მსჯავრდებულ გ. კ-შვილის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდებთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულის აღნიშნული ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მსჯავრდებული ვ. მ-ძე მსჯავრდების ამ ეპიზოდში დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე და მას მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა - შენახვაში, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა მისი პირადი და საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-ძეს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე. მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსსკ-ის 42-მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 5000 ლარი. ვ. მ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 აპრილიდან.

ვ. მ-ძეს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენისა, შენახვის და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ ვ. მ-ძეს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა უნდა დაეწყო განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების ჩანაწერი ჩი დისკზე, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. მ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ვ. მ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე.

მსჯავრდებულ ვ. მ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე. ვ. მ-ძეს მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 5000 ლარი. ვ. მ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 აპრილიდან.

ვ. მ-ძეს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ ვ. მ-ძეს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების ჩანაწერი ჩD დისკზე, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეინახოს საქმის შენახვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა, შენახვა

განჩინება

#1389-აპ-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგამე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ფ-ევას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. მ-ევას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისის განაჩენით შ. ფ-ევა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

შ. ფ-ევამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 2,5906 გრამი, საიდანაც 2007 წლის 18 სექტემბერს რ. ბ-ევზე 150 ლარად უკანონოდ გაასაღა დიდი ოდენობით - 0,9250 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც იმავე დღეს ამოიღეს რ. ბ-ევას პირადი ჩხრევისას.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2007 წლის 24 ოქტომბერს თბილისში საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს შ. ფ-ევა, რომლის პირადი ჩხრევისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,6656 გრამი „ჰეროინი“.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. ფ-ევას მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით - საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენა

ნის, შენახვისა და ტარების უფლებები. შ. ფ-ევას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 24 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ფ. მ-ევმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და შ. ფ-ევას გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - ადვოკატი ფ. მ-ევი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი; განაჩენში მოყვანილი დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რადგან მათში სჭარბობს შ. ფ-ევას გამამართლებელი არგუმენტები; საქმეში არ არსებობს ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, შ. ფ-ევასა და რ. ბ-ევის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები იყო თუ არა იდენტური; საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რ. ბ-ევი ჰქონდა შ. ფ-ევას ვალი. თავად მსჯავრდებულის განმარტებით, იგი დააკავეს, ხელებზე დაადეს ბორკილები, რის შემდეგაც ერთ-ერთმა პოლიციელმა მარცხენა ფეხის წინდაში ჩაუღო რაღაც ნივთი, რომელიც 25-30 წუთის შემდეგ მოსულმა უცნობმა ქალბატონმა ამოუღო პირადი ჩხრეკისას; მიუხედავად შ. ფ-ევას კატეგორიული მოთხოვნისა, პირადი ჩხრეკა არ ჩატარდა დამსწრეების თანდასწრებით.

გარდა ამისა, კასატორი აღნიშნავს, რომ განაჩენს საფუძვლად დაედო კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები; სასამართლომ არ გაითვალისწინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც, რომლითაც დადგენილია, რომ შ. ფ-ევა ქრონიკული ავადმყოფია, აქვს შაქრიანი დაიბეტი, ტუბერკულოზი, ესაჭიროება ქიმიოთერაპია, მკურნალობა სტაციონარულ პირობებში; გადატანილი აქვს მძიმე ოპერაცია; სცვივა ფრჩხილები და კბილები; პირველადია სამართალში; ხასიათდება დადებითად; მისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს სიკვდილით დასჯას, სასჯელის მიზანი კი არ არის ადამიანისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება და მისი დამცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ფ. მ-ევი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და შ. ფ-ევას გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის - შ. ფ-ევას პირადი ჩხრეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

ამასთან, შ. ფ-ევას ქმედებაში არ დასტურდება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე რ. ბ-ევის სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებას, კერძოდ: ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ნარკოტიკები არაერთხელ შეუძენია შ. ფ-ევასაგან და დაკავებისას ამოღებული "ჭეროინიც" მისგანვე ჰქონდა შეძენილი.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე რ. ბ-ევის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად შ. ფ-ევას ქმედებაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ეპიზოდში მსჯავრდებულის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შ. ფ-ევას მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა - შენახვაში, რაც

მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა პირადი ჩხრეკისას. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია და საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორადაა დადგენილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. ფ-ევასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. მ-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ეპიზოდში შ. ფ-ევას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

შ. ფ-ევას სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#998-აპ-08

10 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. გ-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. გ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 იანვრის განაჩენით პ. გ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 9 წლით, ხოლო 378² მუხლის I ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, პ. გ-ლს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 6 დღე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 24 იანვრიდან.

განაჩენით პ. გ-ლს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში. მასვე მსჯავრი დაედო სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა, ტარება, სარგებლობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

პ. გ-მა, სასჯელს იხდიდა რა სასჯელადსრულების დეპარტამენტის #5 დაწესებულებაში, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა „პანასონიკის“ ფირ-

მის მობილური ტელეფონი, შპს „მაგთიკომის“ ქსელში ჩართული სიმ-ბარათით, რომელსაც ინახავდა, ატარებდა და სარგებლობდა.

მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა პრეპარატი „სუბოტექსი“ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით – ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ნაწილი მოიხმარა პირადად, ხოლო ნაწილი გაასალა ამავე საპყრობილის მსჯავრდებულებზე: რ. რ-ზე, გ. ჯ-ზე, დ. ბ-ზე, თ. ბ-სა და ა. ლ-ზე. დარჩენილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – „ჰეროინი“, „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი და „პანასონიკის“ ფირმის მობილური ტელეფონი „მაგთიკომის“ ქსელში ჩართული სიმ-ბარათით პ. გ-მა შეინახა საპყრობილის სამეურნეო ნაწილის #3 ოთახში, თავისი საწოლის ქვეშ, იატაკში მოწყობილ სპეციალურ სამალავში.

2007 წლის 25 მაისს ქ. თბილისის #5 საპყრობილის სამეურნეო მომსახურების მსჯავრდებულთა და მათი საცხოვრებელი ოთახების მოულოდნელი შემოწმება-დათვალიერებისას აღმოაჩინეს: 6 ცალად, პოლიეთილენის მცირე ზომის ფუთებად დაფასოებული, მოთეთრო-მოყვითალო ფერის გრანულები, საერთო წონით – 3, 70165 გრამი, რომელშიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ სუფთა წონა შეადგენს 3, 22043 გრამს; თეთრი ფერის ფხვნილი, წონით 0,0888 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემადგენლობა შეადგენს 0,0017 გრამს და „მაგთიკომის“ ქსელში ჩართული „პანასონიკის“ ფირმის მობილური ტელეფონი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა, სტაჟიორ-პროკურორმა მ. კ-მა და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-მემ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის, სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის საუარესოდ და მისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით – 11 წლით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, პ. გ-სათვის საბოლოო სასჯელად 14 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და პ. გ-ლის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 იანვრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

პ. გ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მისეაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 10 წლით, ხოლო 378² მუხლის I ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, პ. გ-ლს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 6 დღე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ პ. გ-ლის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, პ. გ-ლის გამართლება და საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ პ. გ-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. გ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას პ. გ-ლის გამართლებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების დროს პ. გ-ლს არ უარუყვია, რომ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. სასამართლო გამოძიების დროს მიცემულ

ჩვენებაში მან აღნიშნა, რომ მასაც და სხვა პატიმრებსაც ჰქონდათ თავიანთი წილი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შემოჰქონდა #5 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროს ინსპექტორ ზ. უ-ლს. მსჯავრდებულს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მასთან და ზ. უ-ლს ბევრჯერ მიუყიდა და მიუცია კიდევ მისთვის ნარკოტიკი, რის სანაცვლოდაც პ. გ-ლი პატიმრებში ფულს უგროვებდა და აძლევდა ზ. უ-ლს. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ ზ. უ-ლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: რ. რ-ის, გ. ჯ-ძის, ა. ლ-იას, დ. ბ-იას, თ. ბ-ლის, ნ. კ-იას, ს. ჯ-იასა და ლ. ჩ-ის ჩვენებებით, გადაუდებელ შემთხვევაში ამოღების, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #713/სქ, სასამართლო-ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #357-362/16/16, სასამართლო-ნარკოლოგიური ექსპერტიზის #4901/16 დასკვნებით პ. გ-ლის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სასჯელის ნაწილში სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ პ. გ-ლის საწოლის ქვეშ, სამალავში აღმოჩენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით 3, 22043 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, „ბუპრენორფინი“ - 0,0017 გრამი და „მაგთიკომის“ ქსელში ჩართული „პანასონიკის“ ფირმის მობილური ტელეფონი ეკუთვნის პ. გ-ლს.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, პ. გ-ლის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა პ. გ-ლის მიერ ჩადენილი ნარკოტიკების გასაღების ფაქტს.

წინასწარ გამოძიებაში მსჯავრდებულების: რ. რ-ის, გ. ჯ-ძის, თ. ბ-ლისა და დ. ბ-იას მიერ მიცემული ჩვენებებით ნარკოტიკული საშუალებები შემოჰქონდა ვინმე ვ. ა-ს. შემდეგ მათ შეცვალეს ჩვენება და ნარკოტიკული საშუალებების შემომტანად დაასახელეს რ. რ-ის ნაცნობი, ვინმე ვ-ი.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პ. გ-ლი არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, იგი, პალატის აზრით, არასწორია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა.

პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი თავისი ზომით, სიმკაცრის გამო, აშკარად უსამართლოა. საქალაქო სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს,

მის პიროვნებას და ამდენად, მიაჩნია, რომ ამჟამად მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

პ. გ-ლის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

პ. გ-ლს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. გ-ლს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 378² მუხლის I ნაწილით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 12 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ პ. გ-ლის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

პ. გ-ლის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

პ. გ-ლს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. გ-ლს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 378² მუხლის I ნაწილით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 12 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#1118-აპ-08

30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ნ-მისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. მ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენით გ. ნ-ძე - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე გ. ნ-ძეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 19 ივნისიდან.

განაჩენით გ. ნ-ძეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ნ-ძემ წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,6 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რის შემდეგაც მან აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების ნაწილი - 0,8 გრამი უკანონოდ გაასაღა დ. ჩ-ძეზე, ხოლო ნაწილი - 1,8 გრამი უკანონოდ შეინახა თავისი საცხოვრებელი ბინის, საძინებელ ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვეშ. 2007 წლის 19 ივნისს, 22.55 საათზე, გ. ნ-ძე დააკავეს აღნიშნულ ბინაში, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ბინის ჩხრეკის დროს მისი ბინის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებულ იქნა შავ საიზოლაციო მწებავ ლენტში ერთ პაკეტად შეფუთული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

იმავე დღეს, 22 საათსა და 20 წუთზე, დ. ჩ-ძე დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ბინის ჩხრეკის დროს საძინებელი ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვემოდან და ფოიეში არსებული მრიცხველის უჯრიდან ამოიღეს ოთხ ჩეკად დაფასოებული, დიდი ოდენობით - 0,8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რის შესახებაც მან განაცხადა, რომ 2007 წლის 12 ივნისს აღნიშნული ნივთიერება შეიძინა მისი ყოფილი მეზობლის - გ. ნ-ძისაგან.

მსჯავრდებულის ადვოკატი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას. აპელანტი აღნიშნავდა, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც პირდაპირ ან ირიბად დადასტურებდა გ. ნ-ძის ბრალეულობას ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებაში, ხოლო რაც შეეხება დ. ჩ-ძეს, შესაძლოა, მან გ. ნ-ძის მამხილებელი არასწორი ჩვენება მისცა პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

გ. ნ-ძეს სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოეხსნა დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ნ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა აღნიშნეს, რომ საქმე განხილულია სამართლებრივი და საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით; ჩხრეკის ოქმის თანახმად, ნარკოტიკული ნივთიერება შეფუთული იყო მწებავი ლენტით, რომელიც ადვილად ინარჩუნებს თითის კვალს. წინასწარი გამოძიებისას არ ჩატარებულა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა იმის გასარკვევად, იყო თუ არა მწებავ ლენტზე თითის კვალი და თუ იყო, ვის ეკუთვნოდა იგი; საქმეში არ არსებობს ერთი მტკიცებულებაც კი, რომელიც დაადასტურებდა გ. ნ-ძის ბრალეულობას ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში; არც წინასწარ და არც სასამართლო გამოძიებას არ მოუპოვებია დამადასტურებელი მტკიცებულებები გ. ნ-ძისა და დ. ჩ-ძის ნაცნობობა-ურთიერთობის შესახებ, რაც იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ დ. ჩ-ძემ გ. ნ-ძის მამხილებელი, არასწორი ჩვენება მისცა მხოლოდ პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით. ამდენად, იქიდან გამომდინარე, რომ გამამტყუნებელი განაჩენი აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით, კასატორებმა ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გ. ნ-ძის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. ნ-მისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. მ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გ. ნ-მის გამართლებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: რ. ბ-ლის, რ. დ-მის, დ. ჩ-მის ჩვენებით, ბინის ჩხრევისა და ამოღების ოქმებით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებებით, საქართველოს შ/საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2007 წლის 2 ივნისის ქიმიური ექსპერტიზის #530, ნარკოლოგიური ექსპერტიზის #2716/2 დასკვნებით გ. ნ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გ. ნ-მის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში - ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის - საქართველოს შსს სოდის აჭარის სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების: რ. ბ-ლის, რ. დ-მისა და მოწმე დ. ჩ-მის მიერ წარმოდგენილ ჩვენებებს.

დ. ჩ-მე ჩვენებებში აღნიშნავს, რომ 2007 წლის 12 ივნისს, ოთხ ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ 100 აშშ დოლარად შეიძინა თავისი ყოფილი მეზობლის - გ. ნ-მისაგან.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. ნ-მის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს. არ ყოფილა მოპოვებული ცნობები გ. ნ-მისა და დ. ჩ-მის ნაცნობობა-ურთიერთობის შესახებ.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ გ. ნ-მე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. ნ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ნ-მისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. ნ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#1377-აპ-08

7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ომზარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყეშელაშვილი

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, განსაჯელ ქ. ჯ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან, წინათ ჩადენილი ჰქონდა რა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და შენახვა, ხოლო ი. მ-ს იმაში, რომ მან ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. ჯ-ი 2004 წლის 2 ივლისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. ჯ-მ კვლავ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული, კერძოდ: თავის მეგობარ ი. მ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 82,56056 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", საიდანაც 0,21646 გრამი ქ. ჯ-მ უკანონოდ შეინახა თავის კუთვნილ "მიცუბიში-მონტეროს" მოდელის ავტომანქანაში, 34,31188 გრამი - შარვლის ჯიბეში, 46,4103 გრამი შემდგომი დაფასოების მიზნით - თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე: ქ. თბილისი, ხოლო 1,6150 გრამი ი. მ-მ შეინახა თავისი ქურთუკის ჯიბეში.

2007 წლის 31 მარტს ქ. ჯ-მ და ი. მ-მ ხსენებული ნარკოტიკული საშუალების მცირე ნაწილი ქ. ჯ-შვილის დროებით საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ გაასაღეს თავიანთ მეგობარ თ. ა-ზე, რომელმაც ნარკოტიკული საშუალება იქვე მოიხმარა, ხოლო ქ. ჯ-მ და ი. მ-მ იმავდროულად დაიწყეს მათ მიერ უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალების დაფასოება შემდგომი გასაღების მიზნით.

2007 წლის 31 მარტს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზემოაღნიშნულ ბინაში ნარკოტიკული საშუალების დაფასოების პროცესში დააკავეს ქ. ჯ-ი და ი. მ-მ. პირადი ჩხრეკის შედეგად ქ. ჯ-სგან ამოიღეს 34,3188 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", ი. მ-სგან - 1,6150 გრამი, ხოლო სამზარეულო ოთახში არსებული მაგიდიდან ამოიღეს: 12 ცალად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" წონით - 2,9251 გრამი, პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" წონით -

43,4852 გრამი, ნარკოტიკული საშუალების დაფასებისათვის დამზადებული 22 პოლიეთილენის პარკის ნაჭერი და ელექტროსასწორი.

2007 წლის 5 აპრილს ქ. ჯ-ს კუთვნილ "მიცუბიში-მონტეროს" მოდელის ავტომანქანის, ჩხრეკისას ამოიღეს პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" წონით - 0,21646 გრამი. სულ ქ. ჯ-სა და ი. მ-ს პირადი, ქ. ჯ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინისა და მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" წონით - 82,56056 გრამი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით:

ქ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვე-პუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 31 მარტიდან.

საქართველოს სსკ-ის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 52-ე მუხლის საფუძველზე ქ. ჯ-ს დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული, მოცემულ საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ქ. ჯ-ს კუთვნილი "მიცუბიში-მონტეროს" მოდელის ავტომანქანა, რომელიც მოთავსებულია საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ავტოსადგომზე და მისივე კუთვნილი ელექტროსასწორი, წარწერით "ჰორდ ს ზესტ შელლინგ" - NO1. - ლონგესტ ბატტერყ ლიფე", რომელიც ინახება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ნივთმტკიცებათა შესანახ ოთახში.

ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვე-პუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 31 მარტიდან.

ნივთმტკიცებები: ი. მ-სა და ქ. ჯ-ს პირადი, ქ. ჯ-ს ბინის, ასევე, მისივე კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", ორი შპრიცი, წამლის შუშის ფლაკონი, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში და პოლიეთილენის პარკის 22 ნაჭერი, რომლებიც ინახება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ნივთმტკიცებათა შესანახ ოთახში, უნდა განადგურდეს; ქ. ჯ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ვერცხლის სამაჯური, ოქროს ჯაჭვი და ოქროს ჯვარი გიშრის თვლით, ასევე ი. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული სამაჯური და ვერცხლისფერი ბეჭედი, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში, აგრეთვე ი. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი და სიმბარათი, რომლებიც ინახება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ნივთმტკიცებათა შესანახ ოთახში, უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხა ქ. ჯ-სა და ი. მ-ს მიერ 82,56056 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინის" ჯგუფურად, უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტი და, შესაბამისად, ი. მ-ს სასჯელი შეუმსუბუქდა.

ქ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვე-პუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული, მოცემულ საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ქ. ჯ-ს კუთვნილი "მიცუბიში-მონტეროს" მოდელის ავტომანქანა, რომელიც მოთავსებულია საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ავტოსადგომზე და მისივე კუთვნილი ელექტროსასწორი, წარწერით "ჰორდ ს ზესტ შელლინგ" - NO1. - ლონგესტ ბატტერყ ლიფე".

ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვე-პუნქტით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ. ჯ-სა და ი. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 31 მარტიდან.

ნივთმტკიცებები - ი. მ-სა და ქ. ჯ-ს პირადი, ქ. ჯ-ს ბინის, ასევე, მისივე კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", ორი შპრიცი, წამლის შუშის ფლაკონი, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში და პოლიეთილენის პარკის 22 ნაჭერი უნდა განადგურდეს; ქ. ჯ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ვერცხლის სამაჯური, ოქროს ჯაჭვი და ოქროს ჯვარი გიშრის თვლით, ასევე ი. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული სამაჯური და ვერცხლისფერი ბეჭედი, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში, აგრეთვე ი. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული "ნოკიას" ფირმის

მობილური ტელეფონი და სიმბარათი უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს (ან მათი ოჯახის წევრებს).

მსჯავრდებული ი. მ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკული საშუალება საერთოდ არ ჰქონია და იგი ჩაუდეს პოლიციის თანამშრომლებმა შსს შენობაში. აღნიშნული დასტურდება საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: მოწმეებმა - თ. ა-მ და მ. ბ-მ საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში უარყვეს წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება იმის თაობაზე, რომ, თითქოს, ი. მ-ე ქ. ჯ-თან ერთად მონაწილეობდა ნარკოტიკული საშუალებების შეძენა - რელიზაციაში; მათ განმარტეს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური, ერთობ დამამცირებელი ზეწოლის გზით აიძულეს ისინი, მიეცათ გამოძიებისათვის სასარგებლო ჩვენება. ამგვარი ჩვენების მიუცემლობის შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლები მათ ემუქრებოდნენ ნარკოტიკული საშუალების ჩადებით და უკანონო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით. კასატორი ცნობისათვის უთითებს: თ. ა-ი და პ. ბ-ი იმყოფებიან პატიმრობაში საქართველოს სსკ-ის 370¹ მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ცრუ ჩვენების იძულებითი მიცემის შესახებ წინასწარ განცხადებით მიმართეს გენერალურ პროკურატურას, შსს-ს და შსს-ს გენერალურ ინსპექციას. აღნიშნული გარემოება არის ამ მოწმეების მიმართ უკანონო შურისძიების ნათელი მაგალითი. მით უმეტეს, რომ თ. ა-ს წინასწარ გამოძიებაში ბრალდების სასარგებლოდ მიცემული ჩვენების ეპიზოდი პროკურატურამ თვითონ მოხსნა სააპელაციო სასამართლოში. კასატორი ასევე აღნიშნავს: "თ. ა-სა და პ. ბ-ს ჩვენებები საყურადღებოა იმ კონტექსტში, რომ შსს შენობაში მათ კონტაქტი ჰქონდათ ჩემთან, ი. მ-სთან, რა დროსაც განვუცხადე, რომ, ვინაიდან არც მე და არც მათ ნარკოტიკული საშუალება არ გვქონდა, მხოლოდ დაგვაჯარიმებდნენ და გაგვათავისუფლებდნენ".

იგი ასევე აღნიშნავს, რომ თ. ა-ს პირადი ჩხრეკის ხუთგვერდიანი ოქმი შედგენილია სადარბაზოში, სკამისა და მაგიდის გამოყენების გარეშე. ოქმის ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ იგი შედგენილია გაცილებით კომფორტულ გარემოში; ამავე მოწმის ჩვენებიდან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პოლიციელი მ. შ-ე თ. ა-ს უკანონო დაკავების მომენტიდან მის შსს შენობაში გადაყვანამდე იმყოფებოდა თ. ა-თან ერთად, ამ უკანასკნელის მართვის ქვეშე მყოფი "BM3" მარკის ავტომანქანაში და, შესაბამისად, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებდა ი. მ-ის პირად ჩხრეკაში. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2008 წლის 3 მარტის #7\2\7-1265 წერილის თანახმად, 2007 წლის 31 მარტს შს სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში იმყოფებოდნენ: თ. ა-ი, პ. ბ-ი და ი. მ-მე, ხოლო ექვმიტანილის სტატუსით იმყოფებოდა ქ. ჯ-ი.

აღნიშნულით დასტურდება ი. მ-ს, პ. ბ-სა და თ. ა-ს ჩვენებები, როდესაც მათ განმარტეს, რომ შს სამინისტროში შესვლამდე მათ მოხსნეს კაპრონის "ჟგუტები" და სამინისტროს შესასვლელთან პოლიციის თანამშრომლები მობილური ტელეფონების მეშვეობით ბჭობდნენ, რა სტატუსით შეეყვანათ ისინი შენობაში.

მსჯავრდებულ ი. მ-ს განმარტებით, მისთვის რომ ქ. ჯ-ს ბინაში ნარკოტიკული საშუალება აღმოეჩინათ, შსს შენობაში აუცილებლად ექვმიტანილის სტატუსით შეიყვანდნენ; სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ჩვენებები, თუმცა დარწმუნებული იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სიმართლეს ამბობდა.

მსჯავრდებული ქ. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, ჩადენილი დანაშაულისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწლის სანქცია იწყება 8 წლით თავისუფლების აღკვეთიდან, ხოლო შეფარდებული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ მან აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არის ქალი და ბრალდების მხარემ მოუხსნა ჯგუფური დანაშაულის ეპიზოდი.

იგი ასევე აღნიშნავს: სასამართლოს ტენდენციურობა გამოიხატა იმაში, რომ არ გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნა, რომლის საფუძველზეც იგი უნდა გათავისუფლებულიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარების გამო და არ გაიზიარა მისი პოზიცია ავტომანქანა "მიცუბიში" ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე ძალაში დატოვა ავტომანქანის ჩამორთმევის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოტივები და თვლის, რომ საჩივრების მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივარში მითითებული მოსაზრებები ვერ ასაბუთებენ მსჯავრდებულ ი. მ-ს მოტივაციას იმის შესახებ, რომ მას ქ. ჯ-ს ბინაში პირადი ჩხრეკისას არ ჰქონია ნარკოტიკული ნივთიერება და იგი ჩაუდეს პოლიციის თანამშრომლებმა შს სამინისტროს შენობაში, სადაც ის სინამდვილეში დააკავეს.

საქმეში წარმოდგენილი ჩხრეკის ოქმით, 2007 წლის 31 მარტს ქ. თბილისში ი. მ-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და მისი ყავისფერი ქურთუკის გარეთა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ასანთის კოლოფი, რომელშიც იდო ხუთი, ცელოფნის პარკში გახვეული, მოთეთრო-მოყვითალო ფერის ფხვნილი. ჩხრეკის ოქმს ხელს აწერენ ჩხრეკის მონაწილე პირები - მ. შ-ე, ი. ზ-ი, გ. გ-ე და გამომძიებელი დ. პ-ა. ჩხრეკის ოქმზე ამ პირებს და ეჭვმიტანილ ი. მ-ს არ გაუკეთებიათ შენიშვნები და განცხადებები. ოქმის ბოლოში მითითებულია, რომ ი. მ-მ, გაეცნო რა ჩხრეკის ოქმს, მისი ასლის მიღებასა და მასზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა დაუდგენელი მოტივით.

საქმეში წარმოდგენილი დაკავების ოქმის მიხედვით, 2007 წლის 31 მარტს ქ. თბილისში, გამომძიებელმა დ. პ-მ, ინსპექტორ - გამომძიებლების: მ. შ-ს, ი. ზ-სა და გ. გ-ს მონაწილეობით დააკავეს ი. მ-ე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში ეჭვის საფუძველზე და ეს ოქმი შედგა ფაქტობრივი დაკავების ადგილზე.

საქართველოს სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ეჭვმიტანილის პოლიციის ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების ოქმს ხელმოწერით ადასტურებს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული დაკავების ოქმს ხელმოწერით ადასტურებს შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე ზ. ქ-ა. დაკავების ოქმის ბოლოში გაკეთებული შენიშვნის მიხედვით, ეჭვმიტანილმა ი. მ-მ უარი განაცხადა ამ ოქმის ასლის მიღებასა და მასზე ხელის მოწერაზე გაურკვეველი მიზეზით.

საქართველოს სსსკ-ის 288-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 2007 წლის 31 მარტს გამომძიებელმა აცნობა პროკურორს ეჭვმიტანილ ი. მ-ს მიერ ოქმებზე ხელის მოწერაზე უარის შესახებ. იმავე დღეს, კანონის შესაბამისად, პროკურორი შეხვდა ი. მ-ს. პროკურორთან საუბარში ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საგამომძიებო დოკუმენტებს ხელი არ მოაწერა იმის გამო, რომ ჩხრეკის ოქმში არასწორად არის მითითებული, რომ ნარკოტიკული საშუალება მას ეკუთვნის, თუმცა, პოლიციის მუშაკების მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნია და მის მიმართ რაიმე ძალადობა არ განხორციელებულა.

საკასაციო პალატა თვლის: აღნიშნული ოქმით დასტურდება ის გარემოება, რომ ი. მ-ს ნამდვილად წარედგინა ჩხრეკისა და დაკავების ოქმები და იგი მათ გაეცნო. ის ფაქტი, რომ მას ოქმებზე არ გაუკეთებია არანაირი სახის განცხადება და შენიშვნა, მიაჩნია იმაზე, რომ უსაფუძვლოა მისი მტკიცება, რომ იგი დაკავებული არ ყოფილა ოქმში მითითებულ ადგილზე და რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს შს სამინისტროს შენობაში. წინასწარი გამომძიების პროცესში ი. მ-ს ეჭვმიტანილის სახით დაკითხვას ესწრებოდა პროკურორი, რა დროსაც ი. მ-ს კიდევ ერთხელ ჰქონდა საშუალება, განეცხადებინა პროკურორისათვის მის მიმართ მომხდარი უკანონობის შესახებ, თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

საქმეში წარმოდგენილია ორდერი, რომლის მიხედვით, დაკავების დღეს ი. მ-მ შეთანხმებით მოიწვია ადვოკატი მისი ინტერესების დასაცავად. იგი ადვოკატთან ერთად გაეცნო დადგენილებას მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რის შემდეგ მას წარედგინა ბრალდება და დაიკითხა ადვოკატისა და პროკურორის თანდასწრებით. დაკითხვისას მან აჩვენა, რომ არის ნარკოტიკების მომხმარებელი, სამჯერ იწვა კლინიკაში სამკურნალოდ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. დაკავების დღესაც მისული იყო ქ. ჯ-ს ბინაში ნარკოტიკის გასაკეთებლად, მაგრამ ისინი ამ პროცედურამდე დააკავეს.

ამდენად, მსჯავრდებულ ი. მ-სა და მის ადვოკატს წინასწარი გამომძიებისას არ განუცხადებიათ იმ გარემოებების თაობაზე, რაც სადავოდ გახადეს სასამართლოში.

საკასაციო პალატას ასევე არასარწმუნოდ და უსაფუძვლოდ მიაჩნია მსჯავრდებულ ი. მ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ მისთვის ნარკოტიკული საშუალების - 1,6150 გრამი "ჭერონის" ჩადება განპირობებული იყო იმით, რომ მან არ შეასრულა სამართალდამცავთა მოთხოვნა, მიეცა ჩვენება, რომ თითქოს, იგი მისული იყო ქ. ჯ-თან ნარკოტიკის შესაძენად.

ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემულ ი. მ-ს ხსენებულ ჩვენებაში, რაც განსასჯელის თანხმობით გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, ი. მ-ე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ის მისული იყო ქ. ჯ-თან ნარკოტიკის გასაკეთებლად. ის მეგობრობს ქ. ჯ-თან და როდესაც ამ უკანასკნელს აქვს ნარკოტიკი, უარს არ ეუბნება, გაუკეთოს მას. ფაქტობრივად, ი. მ-მ გამომძი-

ბას მისცა ისეთი ჩვენება, როგორსაც, მისივე განმარტებით, მას სთხოვდნენ პოლიციის თანამშრომლები. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია და სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ 2007 წლის 31 მარტს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზემოაღნიშნულ ბინაში ქ. ჯ-საგან ამოიღეს 43,4852 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", რა დროსაც ქ. ჯ-თან იმყოფებოდა ი. მ-ც. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ საბრალდებო დასკვნით, წინასწარი შეთანხმებით, ქ. ჯ-მ და ი. მ-მ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 82,56056 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი". მითითებული ოდენობის ნარკოტიკი სავსებით საკმარისი იქნებოდა ი. მ-ს პასუხისგებაში მისაცემად და ამისათვის არ იქნებოდა საჭირო პოლიციელთა უკანონო მოქმედება დამატებით 1, 6150 გრამი "ჰეროინის" ჩადებისათვის".

ზემოაღნიშნულისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულების - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს მიმართ კანონიერია, მათთვის დანიშნული სასჯელები შეესაბამება როგორც მათ პიროვნებას, ისე ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს.

საქმის მასალებით, კერძოდ, მსჯავრდებულ ქ. ჯ-ს, მოწმეების: გ. ხ-ს, გ. გ-ს, ი. ზ-ს ჩვენებებით, 2007 წლის 31 მარტს ქ. ჯ-ს ბინის ჩხრევის ოქმით, 2007 წლის 5 აპრილს ქ. ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანა "მიცუბიში-მონტეროს" ჩხრევის ოქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური კვლევის სამმართველოს 2007 წლის 1 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #458/სქ დასკვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 1 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #459/სქ დასკვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური კვლევის სამმართველოს 2007 წლის 1 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #460/სქ დასკვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური კვლევის სამმართველოს 2007 წლის 26 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #588/სქ დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით უდავოდაა დადასტურებული, რომ მსჯავრდებულებმა: ქ. ჯ-მ და ი. მ-მ ჩაიდინეს მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება, რასაც მიეცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ქ. ჯ-ს მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მას დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ი. მ-ს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულების - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, სსკ-ის 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულების - ქ. ჯ-სა და ი. მ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#242-აპ-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ო-ანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის განაჩენით ზ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი, 11 თვე, 2 დღე და ზ. ბ-ძეს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით, 11 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ზ. ბ-ძეს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 აპრილიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნივთმტკიცება - ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 0,073 გრამი, რომელიც ინახება შს გორის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, ზ. ბ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით ზ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით, მესამე ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით და ერთობლივად მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი და 29 დღე ჩაეთვალა რეალურ სასჯელად, ხოლო 4 წელი, 11 თვე და 2 დღე სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი. მიუხედავად ამისა, ზ. ბ-ძე არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: ზ. ბ-ძემ ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. 2008 წლის 5 აპრილს, 21.35 საათზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა იგი დააკავეს გორის რაიონის სოფელ ბერბუკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად მისგან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მოყვითალო ფერის ნივთიერება, რაც ქიმიური ექსპერტიზის 36-ს/ქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით 0,073 გრამს; ამასთან, ზ. ბ-ძე შეამოწმეს შიდა ქართლის საექსპერტო კრიმინალისტიკურ განყოფილებაში და მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ზ. ბ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ო-ანი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ზ. ბ-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; განაჩენს საფუძვლად უდევს მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნა, ჩხრეკისა და დაკავების ოქმები; საქმის მასალებიდან ჩანს, რომ როგორც ჩხრეკის ოქმი, ასევე ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებებია, ხოლო მოწმეთა ჩვენებები – აშკარა სიცრუე; ამასთან, ექსპერტიზის დასკვნა არ აკმაყოფილებს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის დადგენილების მოთხოვნას. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ როგორც ზ. ბ-ძის მშობლები, ისე მისი მეუღლე და თვითონ არიან სოციალურად დაუცველები; ამის მიუხედავად, სასამართლომ დამატებით სასჯელად ჯარიმის სახით შეუფარდა ჯარიმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს ზ. ბ-ძის უდანაშაულობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, მოწმეების: ა. ქ-შვილის, გ. პ-ძის, დ. დ-შვილის ჩვენებებით, ასევე, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, ზ. ბ-ძის ოჯახის წევრები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

აღნიშნულის გამო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ზ. ბ-ძისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნის შესახებ.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ამასთან, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენიდან ზ. ბ-ძის მიმართ ამოირიცხოს მითითება დამატებით სასჯელად ჯარიმის – 3000 ლარის დანიშვნის შესახებ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#2-აპ-09

3 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის განაჩენით ე. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ე. ა-ოვს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა თანხა - 4600 აშშ დოლარი. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ე. ა-ოვს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ე. ა-ოვმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ, გასაღების მიზნით, შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 18, 361 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

2008 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ე. ა-ოვი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 18,361 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ყ-შვილმა.

აპელანტს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი, ვინაიდან მსჯავრდებულ ე. ა-ოვს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები; მან დაკავების მომენტიდან აღიარა და მოინანია დანაშაული; ჰყავს ოჯახი და არასრულწლოვანი შვილები; ბოლნისის მუნიციპალიტეტი და სოფლის მოსახლეობა დადებითად ახასიათებენ; არასოდეს ყოფილა ნასამართლევ; იგი დაავადებულია ჰიპერტონიული თრომბოზით, იმყოფებოდა მუდმივი მკურნალობის ქვეშ, აქვს დაავადების მიმე ფორმა, რის გამოც ორივე ფეხი აქვს საშინელ მდგომარეობაში. აპელანტი ასევე მიუთითებს, რომ ე. ა-ოვს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების გასაღებაშიც, თუმცა გამოძიებას გასაღების ფაქტი არ დაუდგენია და არ წარმოდგენია სათანადო მტკიცებულებები. მსჯავრდების საფუძველი გახდა მხოლოდ დიდი ოდენობა. მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება სჭირდებოდა თავისთვის, მწვავე ტკივილების გასაყურებლად და არა - გასასაღებლად. საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ე. ა-ოვი ჰყიდდა ნარკოტიკულ ნივთიერებას, მაგრამ სასამართლომ მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 4600 აშშ დოლარი გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, თუმცა აღნიშნული თანხა მის ოჯახს ჰქონდა ავტომატურად გაყიდვის შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა მ. ყ-შვილმა ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების მითითების ამორიცხვა, მისთვის ჩამორთმეული თანხის ოჯახისთვის დაბრუნება და სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ყ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენში ცვლილების შეტანა, სასჯელის შემცირება, მის სანაცვლოდ კი დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრება და უკანონოდ ამოღებული 4600 აშშ დოლარის ოჯახისთვის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ყ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ე. ა-ოვისათვის სასჯელის შემცირებისა და მის სანაცვლოდ დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა სწორად შეაფასეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვის ნაწილში და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ე. ა-ოვის მიერ ჩადენილ ქმედებას. საქმის ფაქტობრივ გარემოებებს თვით მსჯავრდებულის კი სადავოდ არ ხდის: იგი სასამართლოში საქმის განხილვისას აცხადებს, რომ ნარკოტიკი შეიძინა პირადი მოხმარებისათვის უცნობი პირისაგან კინოთეატრ „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე და მას გასაღების მიზანი არ ჰქონია. რაც შეეხება სასჯელს, სასამართლოებმა სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინეს ე. ა-ოვის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრეს სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: საქართველოს შსს სოდ-ის IV სამსახურის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების - ვ. მ-შვილისა და გ. წ-ურის ჩვენებით, დაკავების, ამოღების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით, ქიმიური ექსპერტიზის #829/სქ დასკვნით ე. ა-ოვის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. ა-ოვის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის - საქართველოს შსს სოდ-ის IV სამსახურის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების - ვ. მ-შვილისა და გ. წ-ურის ჩვენებებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2008 წლის 14 ივლისს, 10.35 საათზე, ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ე. ა-ოვი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული პირადი ჩხრეკისას საცვლიდან ამოუღეს ღია პოლიეთილენის პარკში „სკოჩით“ გადახვეული ღია ფერის ნივთიერება - გრანულებისა და ფხვნილის სახით, რომელიც შემდგომში ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება - „ჰეროინი“, სუფთა წონით - 18, 361 გრამი.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ე. ა-ოვის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

სააპელაციო სასამართლოს აპელირება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს შეემნიღო ჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება და რომ ნარკოლოგიური შემოწმების #3212348 დასკვნით იგი ნარკოლოგიური ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ე. ა-ოვი არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ე. ა-ოვისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ 4600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ჩამორთმევას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიხსნეული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“, რაც, პალატის აზრით, მოცეულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდარიყო.

სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში ე. ა-ოვმა აღნიშნა, რომ ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული თანხა იყო ოჯახის დანაზოგი, რომლითაც მანქანის ყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამდენად, ე. ა-ოვისათვის ჩამორთმეული თანხა - 4600 აშშ დოლარი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად, ამიტომ მისი ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ე. ა-ოვის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ე. ა-ოვს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის - 4600 აშშ დოლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ე. ა-ოვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ე. ა-ოვს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის - 4600 აშშ დოლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა

განჩინება

#115-აპ-09

10 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ო. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

**ზ. მეიშვილი,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ა-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განაჩენით დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 8 წლით, ხოლო მე-19, 378¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 16 მაისიდან. მასვე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული სხვა უფლებები - 15 წლით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ა-ძემ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გადაზიდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და სცადა მისი გადაცემა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის. ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 15 მაისს დ. ა-ძეს დაუკავშირდა მეზობელი მ. ც-ძე და ხონის #9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი შვილის - დ-ს. მონახულება სთხოვა. იმავე დღეს დ. ა-ძეს დაუკავშირდა დაუდგენელი პირი, რომლის თხოვნით ქ. ბათუმიდან წამოიღო ამანათი. სხვა ნივთებთან ერთად, ამანათში მოთავსებული იყო შავი ტყავის ფეხსაცმელი, რომლის შალითაში იდო "ჰერონი". მეორე დღეს - 16 მაისს დ. ა-ძემ აღნიშნული ამანათი გადმოიტანა ქ. ხონში იქ არსებული სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრისათვის გადასაცემად. დაწესებულების გამანაწილებელ პუნქტში რეგისტრაციის გავლისას მან სცადა, სხვა ნივთებთან ერთად დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეგზავნა. ფეხსაცმელების დათვალიერებისას კონტროლიორებს ეჭვი გაუჩნდათ და მოითხოვეს ფეხსაცმლის შალითის გახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ გადასცემდნენ. დ. ა-ძემ უარი განაცხადა და ფეხსაცმელები უკანვე წამოიღო, მაგრამ დაწესებულების ტერიტორიის დატოვების შემდეგ იგი დააკავეს პოლიციელებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, დ. ა-ძის ქმედება სსკ-ის მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა მე-19, 260-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტზე. სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და მე-19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდებულს საბოლოოდ მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები - მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საჩივარში აღნიშნავენ, რომ დ. ა-ძე მხოლოდ ეჭვის საფუძველზეა დამნაშავედ ცნობილი. მან არ იცოდა, რა იდო ამანათში. ცალკეულ მტკიცებულებათა იგნორირებით სასამართლომ არასწორად შეაფასა და დაადგინა მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოში არ დაიკითხნენ დედა-შვილი კ-იანები და ნ. ბ-ძე, რომელთა დაკითხვით გაირკვეოდა, რატომ გადასცეს დ. ა-ძეს ამანათი და თანხა, როცა ერთმანეთს არ იცნობდნენ. არ დადგენილა, ვის ეკუთვნოდა დ. ა-ძისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრების ოჯახის წევრთა მობილურ ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად გაგზავნას, რათა დაიკითხონ დედა-შვილი კ-იანები და ნ. ბ-ძე, ასევე, გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია დ. ა-ძისა და მოწმეთა მობილურ ტელეფონებში შემავალი და გამავალი ზარების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ირკვევა, დ. ა-ძემ უარი განაცხადა ფეხსაცმელის შემოწმებაზე, რომელშიც შემდეგ "ჰერონი" აღმოჩნდა. განსასჯელის ჩვენებით, როგორც აუხსნეს, შეკერილი ფეხსაცმელების შეგზავნა არ შეიძლებოდა, რაზეც უპასუხა, რომ უკანვე წაიღებდა. შემდეგ იგი მიუთითებს, რომ ფეხსაცმელები შემოწმების შედეგად განადგურდებოდა და ამის გამო თქვა უარი მათ გადაცემაზე.

დაწესებულების კონტროლიორ პ. ხ-უას ჩვენებით, დ. ა-მე დაინტერესდა ფეხსაცმლის შემოწმების ხერხით და როდესაც უთხრეს, რომ უნდა ამოღებულიყო შალითა, აღელდა და უარი განაცხადა მის შეგზავნაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქმეში არსებულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, იგი დადგენილია არა ეჭვის, არამედ ამ მტკიცებულებების ობიექტური ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ მოწმეებს, მათი ჩვენებები საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ამ პირთა დაკითხვის თაობაზე, თუმცა იმის გამო, რომ ისინი სასამართლოში ვერ წარადგინეს, დაცვის მხარემ მათ დაკითხვაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება კავშირგაბმულობის კომპანიებიდან სატელეფონო საუბრების შესახებ ინფორმაციის ამოღებას, კასატორები ზოგადად მიუთითებენ, რომ აღნიშნულით დადგინდებოდა საქმეზე ჭეშმარიტება და დ. ა-ძის უდანაშაულობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენის არც მითითებული მოტივით გაუქმების საფუძველი არსებობს.

ამასთან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა მატერიალური კანონი, მაგრამ რამდენადაც საბრალდებო დასკვნით დ. ა-ძის ქმედების ერთი ეპიზოდი დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, იგი გადაეკვალიფიცირებინა უფრო მძიმე მუხლზე - მე-19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ა-ძის ქმედება სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაეკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - სასჯელის დანიშვნის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ორი სხვადასხვა მუხლით უნდა განესაზღვროს ერთი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ა-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. პ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს: დ. ა-ძის ქმედება სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაეკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე;

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და მე-19, 378¹ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დ. ა-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#43-აპ-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით ვ. მ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და, იმავე კოდექსის მე-17 და 58-ე მუხლების შესაბამისად, სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 16 ივლისიდან.

ვ. მ-შვილს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ვ. მ-შვილს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

წალკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 8 მაისის განაჩენით ვ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა თელავის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2005 წლის 15 ოქტომბრიდან.

აღნიშნულის მიუხედავად, მან კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. 2008 წლის 16 ივლისს ვ. მ-შვილმა განიზრახა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით - 0,0539 გრამი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და მის უკანონო გადაზიდვას ახორციელებდა გაურკვეველი მიმართულებით, რა დროსაც იგი ქ. რუსთავში, ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ავტოსახელოსნოსთან დააკავეს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს სიგარეტის ბრჭყვიალა ქაღალდში მოთავსებული, მოყვითალო ფერის ფხვნილისებური მასა, რომელიც, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით - 0,0539 გრამს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი პროკურორმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მან საჩივარში მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ვ. მ-შვილის მიმართ ლმობიერია. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, აღნიშნული დანაშაულის სიმძიმე და საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორმა ითხოვა ვ. მ-შვილისათვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. ა-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორმა საჩივრით აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას. მან ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება ლმობიერების მოტივით და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად სასჯელის გამკაცრების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლების - ნ. წ-რისა და ვ. ს-ძის ჩვენებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის #846/სქ დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #272/1 დასკვნით, ნარკოლოგიური შემოწმების #3471182 დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ვ. მ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკების გადაზიდვის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

მოწმეების - ნ. წ-რისა და ვ. ს-ძის ჩვენებით დადგენილია, რომ 2008 წლის 16 ივლისს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქუჩების გადაკვეთაზე დააკავეს ვ. მ-შვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას შარვლის უკანა მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა "სკოჩით" გადახვეული ფხვნილი. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იგი აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

პალატა არ ეთანხმება რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ღმობიერების მოტივით უკანონო განაჩენის გაუქმებისა და სასჯელის გამკაცრების მიზნით საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ ვ. მ-შვილისათვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსთავის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით დადგენილად მიიჩნია მსჯავრდებულ ვ. მ-შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტი, რაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

აღნიშნულმა ასახვა არ ჰპოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენში და მსჯავრდებულს ზედმეტად შეეფარდა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გადაზიდვა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უკანონო გადაზიდვისას ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ნებისმიერი მეთოდით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს პირის მიზანზე: თუ ხდება ნარკოტიკული საშუალების გადაადგილება სხვა ადგილზე მისი მოთავსების მიზნით, მაშინ საქმე გვაქვს უკანონო გადაზიდვასთან, ხოლო თუ ასეთი მიზანი არ არსებობს - უკანონო შენახვასთან.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულს ასეთი მიზანი არ ამოძრავებდა.

აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 615-ე მუხლით გათვალისწინებულ უზუსტობას, რომელიც აღმოფხვრილ უნდა იქნეს მითითებულ განაჩენში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "ა", „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლითა და 615-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენი ვ. მ-შვილის მიმართ შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ვ. მ-შვილს ამოერიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება

განჩინება

#347-აპ

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. პ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განაჩენზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის განაჩენით:

დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და დამტკიცდა მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება.

ი. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის მე-18, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ ი. ა-ძეს მოსახდელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, ი. ა-ძეს დანიშნული სასჯელიდან 5 წელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით – 5 წლის საგამოცდო ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 8 თებერვლიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ი. ა-ძეს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 15 წლის ვადით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით:

ნ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2007 წლის დეკემბრის ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2008 წლის იანვრის ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის მე-18, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2008 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი) – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის

59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ნ. კ-ძეს მოსახდელად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 10 თებერვლიდან.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნ. კ-ძეს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო საქმე-მო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები - 15 წლის ვადით.

ნივთმტკიცებები - ი. გა-ძისაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით - 21,336 გრამი; ნ. კ-ძისაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით - 26,968 გრამი და 4,471 გრამი, რომლებიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; ი. ა-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 560 ლარი, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ნ. კ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული "სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონი და სიმბარათი, ი. ა-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული "სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონი, სიმბარათი, 5 - ლარიანი "ლაი-ლაის" ბარათი და 3 ლითონის გასაღები, რომლებიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეებს - ნ. კ-ძესა და ი. ა-ძეს.

განაჩენის მიხედვით, ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის დეკემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ნ. კ-ძემ ქ. ბათუმში ი. ა-ძეზე გაასაღა 20 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რის სანაცვლოდაც ი. ა-ძისაგან მიიღო 2400 აშშ დოლარი. ვინაიდან მათი დანაშაულებრივი საქმიანობა არ იყო გამოაშკარავებული და ისინი არ იყვნენ მხილებული დანაშაულის ჩადენაში, კვლავ გააგრძელეს დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ, 2008 წლის იანვრის შუა რიცხვებში ქ. ბათუმში ნ. კ-ძემ კვლავ გაასაღა ი. ა-ძეზე 20 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რის სანაცვლოდაც ი. ა-ძისაგან მიიღო 2400 აშშ დოლარი. 2008 წლის 8 თებერვალს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მუშაკების მიერ გატარებული მოქმედებების შედეგად ქ. ბათუმში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე, დააკავეს ი. ა-ძე. მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა მიმდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებში ნ. კ-ძის მიერ მასზე გასაღებული ნარკოტიკული საშუალება - 11,336 გრამი „ჰეროინი“. გამოძიების პერიოდში, დაკითხვისას, ბრალდებულმა ი. ა-ძემ უჩვენა, რომ 2008 წლის 10 თებერვალს ნ. კ-ძეს ქ. ბათუმში მისთვის გასაღების მიზნით უნდა გადაეცა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. აღნიშნულზე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მუშაკებმა გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები, რის შედეგადაც 2008 წლის 10 თებერვალს 11.10 საათზე, ნ. კ-ძე დააკავეს ბათუმში და მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, გასასაღებლად მომზადებული 26,968 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. მისივე საცხოვრებელი სახლიდან ასევე ამოღებულ იქნა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, გასასაღებლად, ე.წ. 30 "ჩეკად" დამზადებული 4,471 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. სულ მთლიანად ნ. კ-ძისაგან ამოღებულ იქნა გასასაღებლად მომზადებული 31,439 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც მას შეძენილი ჰქონდა გამოძიებით დაუდგენელი ვინმე "ნ-საგან".

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ნ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენიდან ნ. კ-ძეს ამოერიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტი (2008 წლის იანვრის ეპიზოდი) და სასჯელის ზომად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. კასატორის განმარტებით, განაჩენი ამ ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი; გარდა თვით ი. ა-ძის მიერ მიცემული ჩვენებისა, ამ ეპიზოდის არავითარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: ა. ლ-ვას, გ. ზ-შვილის, ა. გ-ლიას, ლ. უ-ძის, ი. ა-ძის ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზების დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ნ. კ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია (2007 წლის დეკემბრისა და 2008 წლის 10 თებერვლის ეპიზოდები), რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. კ-ძის მიერ 2008 წლის იანვარში ი. ა-ძეზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ, განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე ი. ა-ძის ჩვენებას, რომლის თანახმად, 2007 წლის დეკემბერში ნ. კ-ძემ გადასცა 20 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება, რაშიც გადაუხადა 2400 დოლარი. ეს ნარკოტიკი მთლიანად გაასაღა. ამის შემდეგ, 2008 წლის იანვარში, წინასწარ შეთანხმებისამებრ, ნ. კ-ძემ ისევ გადასცა 20 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", რაშიც გადაუხადა 2400 დოლარი. მოტანილი ნარკოტიკიდან 10 გრამი დააფასოვა 50 "ჩეკად", ხოლო მეორე 10 გრამი შეინახა ერთ პაკეტად. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება ამ ეპიზოდში ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამატყუებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე ი. ა-ძის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის მიერ 2008 წლის იანვარში ი. ა-ძეზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მოწმე ი. ა-ძის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. კ-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტი (2008 წლის იანვრის ეპიზოდი) და, შესაბამისად - ამ მუხლით დანიშნული სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან ეყრდნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განაჩენი შეიცვალოს, კერძოდ:

განაჩენიდან მსჯავრდებულ ნ. კ-ძის მიმართ ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტი (2008 წლის იანვრის ეპიზოდი).

მსჯავრდებულ ნ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2007 წლის დეკემბრის ეპიზოდი), მე-18, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2008 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით კ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, კ. ლ-ძეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

ნივთმტკიცებები - ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით - 0,06 გრამი, "ბუპრენორფინი", წონით - 0,0054 და 0,0004 გრამი, რომელიც ინახება შიდა ქართლის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეზავნოს შს სამინისტროს ცენტრს, ხოლო ნივთმტკიცებად ცნობილი თანხა - 1320 ლარი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 25 მაისიდან.

განაჩენით კ. ლ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღებაში დიდი ოდენობით, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 25 მაისს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კ. ლ-ძე დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე გორში., შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისი სპორტული შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული მოთეთრო აბი, წარწერით - „ბ8" და სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული მოთეთრო ერთი ცალი აბის ნატეხი, რომელიც წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „სუბოტექსს" წონით - 0,46 გრამს. კ. ლ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მისაღები ოთახის კარადაში მოთავსებული მეტალის ჭრელი ჯამიდან ამოიღეს ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მოგრძო ფორმის აბი წარწერით - „ბ8", ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი" წონით - 0,4 გრ.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კ. ლ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ერთი ცალი, თეთრი, ოვალური ფორმის აბი წონით - 0,4 გრამი, არის პრეპარატი „სუბოტექსი", რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს", წონით - 0,008 გრამს, ერთი ცალი, თეთრი, ოვალური ფორმის აბის ნატეხი, წონით - 0,06 გრამი, არის პრეპარატი „სუბოტექსი" და შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს" წონით - 0,0012 გრამს, ხოლო კ. ლ-ძის ბინიდან ამოღებული ერთი ცალი, თეთრი, ოვალური ფორმის აბი, წონით - 0,4 გრამი, არის პრეპარატი „სუბოტექსი", რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს", წონით - 0,008 გრამს.

სულ კ. ლ-გან ამოღებული „სუბოტექსი" შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს", წონით - 0,0172 გრამს.

კ. ლ-ძემ ასევე, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი", წონით - 0,0064 გრამი, რომელიც უკანონოდ შეინახა და 2007 წლის 25 მაისს, დაახლოებით 12.00 საათზე, გორში, ამილახვრის ქ. #11-ში არსებული საცხოვრებელი ბინის ეზოში, ასევე უკანონოდ გაასაღა სათანადო დადგენილების საფუძველზე, შესაბამისი ლეგენდირებით დანაშაულებრივ ჯგუფში საკონტროლო შესყიდვისათვის ჩანერგილ, საქართველოს შსს ოპერატიული დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროს ინსპექტორ-გამომძიებელ ე. ნ-ძეზე.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. მ-მა. სააპელაციო საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ნაწილში არის დაუსაბუთებელი და უკანონო, აქედან გამომდინარე, უკანონოა განაჩენი სასჯელის ნაწილშიც, რის

გამოც, იგი ითხოვდა კ. ლ-ძის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვაში დიდი ოდენობით და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულს არ გააჩნდა სხვა დამამძიმებელი გარემოებები, მისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით - მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ლ-ძემ და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის განაჩენში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, თუმცა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენი კ. ლ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაუგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მხარი დაუჭირეს სააპელაციო საჩივარს და მოითხოვეს წარდგენილი ბრალდებიდან ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ამორიცხვა, ასევე, დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის მოხსნა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მინიმალური სასჯელის - 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში უცვლელად დატოვება, იმ მითითებით, რომ მსჯავრდებულ კ. ლ-ძეს წარდგენილი ბრალდებიდან ამორიცხოს ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გადაზიდვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

კ. ლ-ძეს ბრალდების ფორმულირებიდან ამორიცხა მითითება ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვაზე.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, კ. ლ-ძეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 7000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა როგორც ძირითადი, ისე - დამატებითი სასჯელის ნაწილში. ამდენად, ითხოვა ძირითად სასჯელად თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა არაუმეტეს - 7 წლის ვადით, ხოლო მსჯავრდებულის სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, დამატებითი სასჯელის - ჯარიმის მოხსნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება კ. ლ-ძის ადვოკატის - ზ. მ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის ნაწილში უკანონო განაჩენის გაუქმების, არაუმეტეს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისა და დამატებითი სასჯელის - ჯარიმის მოხსნის შესახებ, უსაფუძვლოების გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: კ. ბ-ძის, მ. მ-ის, ე. ნ-ძის ჩვენებებით, ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ბინის ჩხრეკის ოქმით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებებით, ქიმიური ექსპერტიზის #25/სქ და #753/სქ დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით კ. ლ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ფაქტი, რომელსაც მსჯავრდებული სადავოდ მიიჩნევს, დასტურდება მოწმე ე. ნ-ძის ჩვენებით, სადაც იგი აღნიშნავს: „ოპერატიული ინფორმაციით კ. ლ-ძე იყო ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი და რეალიზატორი. იგი სახლიდან არ გადიოდა და რეალიზაციას ახდენდა ბინიდან. მე შესაბამისი დადგენილებით ჩავინერგე დანაშაულებრივ ჯგუფში და შემთხვევის დღეს მისგან პაროლის თქმის შემდეგ, მისი სახლის სადარბაზოში, 280 ლარად შევიძინე 2 აბი ნარკოტიკი“.

მოწმე ე. ნ-ძის ჩვენების რეალობა დადასტურებულია საქმეში არსებული საკონტროლო შესყიდვის მასალებითა და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #753/სქ დასკვნით, რომლითაც შესყიდული 2 აბი „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობა შეადგენს 0,0064 გრამს.

ამდენად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, სიმკაცრის გამო, არ არის აშკარად უსამართლო და შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს და მის პიროვნებას.

რაც შეეხება საქმეზე დართულ ნივთმტკიცებებს, სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი ბედი არასწორადაა გადაწყვეტილი.

2007 წლის 25 მაისის ქიმიური ექსპერტიზის #25/სქ დასკვნით კ. ლ-ძის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერება „სუბუტექსი“, წონით - 0,86 გრამი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“ - 0,0172 გრამს.

2007 წლის 6 ივნისის სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #753/სქ დასკვნით საკონტროლოდ შესყიდულ ნარკოტიკულ ნივთიერებაში ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ შეადგენს 0,064 გრამს.

არ არის ასევე გადაწყვეტილი 2007 წლის 8 ივნისის დადგენილებით ნივთმტკიცებად ცნობილი, კ. ლ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხის - 70 ლარისა და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონის ბედი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განაჩენში, ნივთმტკიცებების ნაწილში, უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული ნივთიერება „სუბუტექსი“, წონით - 0,86 გრამი, რომელშიც ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა - 0,0172 გრამი, ასევე საკონტროლოდ შესყიდული ნივთიერება, რომელშიც „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა - 0,0064 გრამი და ინახება შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, ხოლო ფულადი თანხა - 1320 ლარი, 70 ლარი და მობილური ტელეფონი „ნოკია“, დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განაჩენში, ნივთმტკიცებების ნაწილში, შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული ნივთიერება „სუბუტექსი“ წონით - 0,86 გრამი, რომელშიც ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა 0,0172 გრამი, ასევე, საკონტროლოდ შესყიდული ნივთიერება, რომელშიც „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა - 0 0064 გრამი და ინახება შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეგზავნოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, ხოლო ფულადი თანხა - 1320 ლარი, 70 ლარი და მობილური ტელეფონი „ნოკია“, იმეი კოდით, დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#447-აპ-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-სა და მსჯავრდებულ გ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ნ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენით:

გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 8 სექტემბრიდან.

გ. მ-სა და ვ. ბ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის IV ნაწილის თანახმად 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით გ. მ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვაში, ხოლო ვ. ბ-ს ასევე, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 3 სექტემბერს გ. მ-მა თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში თავის ნაცნობ ვ. ბ-საგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1.443 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 178 ცალი აბი და აბის 7 ნატეხი, რასაც ინახავდა უკანონოდ.

2008 წლის 8 სექტემბერს, 20.45 საათზე, საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, დააკავეს გ. მ-ი, რა დროსაც ჩატარებული ბინის ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1.443 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 178 ცალი აბი და აბის 7 ნატეხი.

ვ. ბ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1.611 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 199 აბი და აბის ნატეხი, საიდანაც 1.443 გრამი - განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 178 ცალი აბი და აბის ნატეხი 2008 წლის 3 სექტემბერს უკანონოდ გაასალა თავის ნაცნობ გ. მ-ზე, რაც ამ უკანასკნელის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას იქნა ამოღებული.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. მ-ის ადვოკატებმა და მსჯავრდებულმა ვ. ბ-მა.

სააპელაციო საჩივრებით აპელანტები ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ ვ. ბ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღების, ხოლო მსჯავრდებულ გ. მ-ის მიმართ - გასაღების მიზნის ამორიცხვას. აპელანტები ასევე ითხოვდნენ ორივე მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის

2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში და გ. მ-ს სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ვ. ბ-მა და მსჯავრდებულ გ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ვ. ბ-მა საჩივრით აღნიშნა, რომ არის ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელი, მაგრამ იგი არასოდეს არავისზე არ გაუსაღებია. იმის გამო, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ითხოვა უკანონო განაჩენიდან „ნარკოტიკების გასაღების“ ამორიცხვა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის - 8 წლით თავისუფლების აღკვეთის - შეფარდება.

კასატორმა - გ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში და გ. მ-ის მინიმალური სასჯელის - 8 წლით თავისუფლების აღკვეთის - შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ნ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ნ-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდების თაობაზე, რადგან სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა გ. მ-ის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე - მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: საქართველოს შსს-ს სოლის ინსპექტორ-გამომძიებლების - გ. გ-ას, ზ. გ-ას, კ. ფ-ის, რ. ე-ასა და მ. ფ-ას ჩვენებით, მსჯავრდებულების - გ. მ-სა და ვ. ბ-ის ჩვენებით, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნებით, ქიმიური ექსპერტიზის #1062/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულებზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ვ. ბ-ის ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

ვ. ბ-მა როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებში მიცემულ ჩვენებებში თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ იგი არის ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი და მისგან ამოღებული 21 აბი „სუბუტექსი“, რომელიც შეიძინა გ. მ-საგან, მას ეკუთვნის. რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას, მან აღნიშნა, რომ იგი რეალიზატორი არასოდეს ყოფილა და ბრალდების ამ ნაწილში თავს არ ცნობს დამნაშავედ.

მსჯავრდებულმა გ. მ-მა კი როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე დაადასტურა თავის მიერ წინასწარ გამოძიებაში ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებები და განმარტა, რომ მისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება ნამდვილად შეიძინა მსჯავრდებულ ვ. ბ-საგან. ნარკოტიკში მან გადაიხადა 8 000 აშშ დოლარი, ხოლო გადასახდელი დარჩა 10 000 აშშ დოლარი.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ვ. ბ-ლის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღება - ემყარება მხოლოდ გ. მ-ლისა და ბრალდების მხარის - საქართველოს შს სამინისტროს სოდ-ის ინსპექტორ-გამომძიებლების ჩვენებებს, რომლებიც ვერ ადასტურებენ ვ. ბ-ლის მიერ ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტს და ადასტურებენ მხოლოდ იმას, რასაც არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.“ იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი, „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებუ-

ლებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად”.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ვ. ბ-ის მიმართ აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ვ. ბ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ვ. ბ-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. ბ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ამასთან, გ. მ-სა და ვ. ბ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით უნდა ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ვ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულ გ. მ-ის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ნ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ ვ. ბ-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. ბ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

გ. მ-სა და ვ. ბ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ვ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულ გ. მ-ის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#547-აპ-09

27 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენით მ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. კ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის IV ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 31 აგვისტოდან.

განაჩენით მ. კ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. კ-მა განიზრახა, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეეძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა როგორც პირადად, ისე თავის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანასა და ასევე თავის საცხოვრებელ ბინაში.

2008 წლის 31 აგვისტოს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლოში დააკავეს მ. კ-ი. იმ დროს იგი გადაადგილდებოდა საკუთარი ავტომანქანა „ვაზ-21099-ით“.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მ. კ-ის პერანგის ჯიბიდან ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 0,3267 გრამი. მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 0,0085 გრამი, ხოლო მარნეულის რაიონში მდებარე მ. კ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას - ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 3,5731 გრამი. სულ ამოიღეს მ. კ-ის მიერ ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შექმნილი და შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 3,9083 გრამი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ა-იამ.

აპელანტი აღნიშნავდა, რომ მ. კ-ვის მიმართ მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არასამართლიანი, ვინაიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები მას არ ეკუთვნოდა. მ. კ-ის განმარტებით, პერანგი, რომლის ჯიბიდანაც მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკი, მისი ძმის - ზ. კ-ის იყო და ჯიბეში თუ ნარკოტიკი იდო, მან არ იცოდა. ბინიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებიც მისი ძმის, ზ. კ-ის იქნებოდა, რადგან ის არის ნარკოტიკების მომხმარებელი. თავად მას ნარკოტიკებთან არასოდეს შეხება არ ჰქონია და მისთვის დღემდე უცნობია, საიდან მოხვდა ნარკოტიკები მის საწოლში, ლეიბის ქვეშ.

მ. კ-ი თავს დამნაშავედ ცნობს მხოლოდ ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული "ჰერონი-ნოანი" შპრიცის შექმნა, შენახვის ნაწილში, რომლის არსებობის შესახებ მან ასევე თავისი ძმისგან, ხ. კ-სგან ტელეფონის საშუალებით შეიტყო, როდესაც ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მანქანაში, ხალიჩის ქვეშ, ინახავდა ნარკოტიკული ნივთიერებით სავსე შპრიცს (რომელშიც იყო 0,05 გრამი "ჰერონის" შემცველი ხსნარი) და სთხოვა მისი გადაგდება. მ. კ-მა შპრიცი ხალიჩის ქვემოდან ამოიღო, მაგრამ გადაგდება ვერ მოასწრო, რადგან პოლიციელებმა გააჩერეს, რის გამოც შპრიცი იქვე, მანქანის სალონში, პლასტმასის ყუთში დამალა. შპრიცი ჩხრეკისას პოლიციელებმა ამოიღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ა. ა-მ საჩივრით ითხოვა მ. კ-ის მიმართ მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ მ. კ-ს ბრალდების ფორმულირებიდან ამოერიცხოს გასაღების მიზანი, გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, მსჯავრი დაედოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმის გათვალისწინებით, რომ წარსულში არ არის ნასამართლევი, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ავადმყოფი დედა, განესაზღვროს სასჯელის მინიმუმი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე ითხოვა მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ავტომანქანის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენი მ. კ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ა-მ საკაცო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მ. კ-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამ პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის შეფარდება; მტკიცებულებების არარსებობის გამო განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის ამორიცხვა; განაჩენიდან ავტომანქანის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მითითების ამორიცხვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მ. კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. ა-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მ. კ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის შეფარდების, განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის, ავტომანქანის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მითითების ამორიცხვის შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: საქართველოს შსს-ს სოდ-ის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების - ნ. ა-სა და გ. კ-ის ჩვენებით, საქმის მწარმოებელი გამომძიებლის - დ. ს-ის ჩვენებით, დაკავების, ამოღების, პირადი, ბინისა და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის #999/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მ. კ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკების გასაღების მიზნის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მ. კ-ს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს, მის პიროვნებას და რაც მეტისმეტი სიმკაცრის გამო არ არის აშკარად უსამართლო.

პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას, რომ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები მ. კ-ის ძმის იყო და მათთან მ. კ-ს არანაირი შეხება არ ჰქონია.

მ. კ-ის პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკისას მისი პერანგის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკში ორ ცალად დაფასოებული, მოყვითალო-

მოყავისფრო ნივთიერება ფხვნილისა და გრანულების სახით, რაც არ შეიძლება, შეუმჩნეველი ყოფილიყო მ. კ-ის და მის მიერ იმის მითითება, რომ აღნიშნული პერანგი თავის ძმას ეკუთვნოდა და არ იცოდა, რომ ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება იდო, მიმართულია პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებისაკენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მ. კ-ს წინასწარი გამოძიების არც ერთ ეტაპზე არ განუცხადებია, რომ პერანგი მისი ძმის საკუთრება იყო და მანქანაში ნარკოტიკული ნივთიერების არსებობის შესახებ მისივე ძმისგან გახდა მისთვის ცნობილი.

მ. კ-ი რომ გულწრფელი არ არის, ჩანს დამატებითი მოწმის სახით დაკითხული, საქმის მწარმოებელი გამოძიებლის - დ. ს-ის ჩვენებიდანაც, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მ. კ-ის დაკავება და მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მოხდა საპროცესო კანონის სრული დაცვით. დაკავებისას მას არ უთქვამს, რომ ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ მის ძმას ეკუთვნოდა (აღნიშნული მან მხოლოდ სასამართლო გამოძიებაში განაცხადა). სიმართლეს არ შეესაბამება ასევე მსჯავრდებულის მითითება იმის თაობაზე, რომ საწოლი, საიდანაც ნარკოტიკი ამოიღეს, მისი ძმის იყო, რადგან საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკას ესწრებოდა მ. კ-ის დედა, რომელმაც თავად აჩვენა სოდ-ის თანამშრომლებს შვილის საძინებელი ოთახი, საწოლი და არც არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ ავტომანქანაში მუდარი მ. კ-ის პირადი ჩხრეკისა და ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს მასში დამალული ნარკოტიკული ნივთიერებები, ავტომანქანა წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საგანსა და დანაშაულის ჩასადენად გამოიზულ ნივთს. ამდენად, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ავტომანქანის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე კანონიერად მიიჩნევს.

პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ საბრალდებო სიტყვაში ბრალი დასდო მ. კ-ს ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებაში და აღნიშნა, რომ „განსასჯელს, რომელიც არ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ესოდენ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ესაჭიროებოდა არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ მისი შემდგომი გასაღებისათვის“. პროკურორის ეს მოსაზრება, როდესაც საქმეში არ არსებობს იმის არანაირი მტკიცებულება, რომ მ. კ-ის მიზანი იყო ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ ნაწილში მსჯავრდებულის ბრალეულობას.

პალატა ვერ გაიზიარებს სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ს, რომელიც არ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ესოდენ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ესაჭიროებოდა არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ მისი შემდგომი გასაღებისათვის.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი მ. კ-ის მიმართ აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების მიზნის ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდა მ. კ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების მიზნის არსებობის ფაქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენში მ. კ-ის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ მ. კ-ს უნდა ამოერიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის ნაწილში.

ამასთან, მ. კ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათ-

ლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. ა-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენი მ. კ-ის მიმართ შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ მ. კ-ს ამოერიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის ნაწილში.

მ. კ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შემდგომი გასაღების მიზნით

განჩინება

#546-აპ

2 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. რ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 თებერვლის განაჩენით:

ნ. ჭ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 19 სექტემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი

თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანო-ებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ნ. ჭ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხები - მისი პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული 1178 ლარი და მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული თანხის ნაწილი - 3000 ლარის ოდენობით, ე. ი. სულ - 4178 ლარი, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა საქართველოს ეროვნული ბანკის საცავს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ნ. ჭ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგანი, ი-პპონე ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათებით.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცება - 6000 ლარის ოდენობით ნ. ჭ-ას საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული თანხის ნაწილი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრე რ. მ-ას, მცხ. თბილისში.

გ. ა-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 19 სექტემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანო-ებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხა - მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული 170 ლარი და 1800 აშშ დოლარი, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა საქართველოს ეროვნული ბანკის საცავს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგანი, "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათებით.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცება - 1,05 გრ. ბუპრენორფინის შემცველი სამი აბი და 0.2069 გრ. "ჰეროინის" ფხვნილი და გრანულები, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, უნდა განადგურდეს, ხოლო მისი აღსრულება დაევალოს დასახელებულ დეპარტამენტს.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცება ჩD-დისკი დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

როგორც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე დაუდგენელი პირის მიმართ ამ საქმიდან გამოყოფილ #009080064 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთმტკიცება - "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი და გრანულები - 21,85 გრამი და იმავე ნივთიერების შემცველი გრანულების სახით - 16,17 გრამი, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, უნდა განადგურდეს, ხოლო მისი აღსრულება დაევალოს დასახელებულ დეპარტამენტს.

მსჯავრდებულების - გ. ა-სა და ნ. ჭ-ას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ა-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან შემდგომი გასაღების მიზნით უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 6.67 გრამი.

ნ. ჭ-ამ 2008 წლის 19 სექტემბერს ქ. თბილისში, წინანდლის ქ. #12-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ა-გან უკანონოდ, შემდგომი გასაღების მიზნით შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 2008 წლის 19 სექტემბერს, 7 საათსა და 15 წუთზე, ქ. თბილისში, წინანდლის ქ-ზე, გ. ა-სა და ნ. ჭ-ას დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წაასწრეს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და დააკავეს ისინი. ნ. ჭ-ას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა გ. ა-გან უკანონოდ შეძენილი, მოთეთრო-მოყავისფრო ნივთიერება გრანულების სახით, დაფასოებული 2 წონაკად, ხოლო გ. ა-ს აღმოაჩნდა მოთეთრო-მოყავისფრო ნივთიერება, დაფასოებული სამ წონაკად.

საქმეზე ჩატარებული 2008 წლის 19 სექტემბრის ქიმიური ექსპერტის #1108\ქ დასკვნით ნ. ჭ-ას პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით 6,67 გრამს. ხოლო გ. ა-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით 9,131 გრამს. ამავე ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გ. ა-ის პირადი ჩხრეკისას, ასევე, ნ. ჭ-ას პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერებები ერთნაირი ქიმიური შემცველობისაა.

ნ. ჭ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" და ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი სამი აბი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისი.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 2008 წლის 19 სექტემბერს გაიჩხრიკა ნ. ჭ-ას საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოღებულ იქნა ნ. ჭ-ას მიერ უკანონოდ, შემდგომი გასაღების მიზნით შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალებები. ქიმიური ექსპერტის 2008 წლის 19 სექტემბრის #1108\სქ დასკვნით ნ. ჭ-ას საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თეთრი ფერის 3 აბი შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება "ბუპრენორფინს", წონით 0,024 გრამს, ხოლო მოთეთრო-მოყავისფრო ნივთიერება წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინის" ფხვნილსა და გრანულებს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" წონა შედაგენს 0,089 გრამს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ნ. ჭ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ნ. ჭ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგანი, ი-პპონე ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათებით.

ნ. ჭ-ას საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 9000 ლარიდან და მისი პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული 1178 ლარიდან საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ 6000 ლარი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრე რ. მ-ას, მცხ. თბილისში, ხოლო 4178 ლარი - ნ. ჭ-ას მეუღლეს - ქ. მ-ას.

გ. ა-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხა: მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული 170 ლარი და 1800 აშშ დოლარი, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაპბარდა საქართველოს ეროვნული ბანკის საცავს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგანი, "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათებით.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცება - 1,05 გრ. ბუპრენორფინის შემცველი სამი აბი და 0,2069 გრ. "ჰეროინის" ფხვნილი და გრანულები, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაპბარდა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, უნდა განადგურდეს, ხოლო მისი აღსრულება დაევალოს დასახელებულ დეპარტამენტს.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცება - ჩდ-დისკი დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

როგორც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე დაუდგენელი პირის მიმართ ამ საქმიდან გამოყოფილ #009080064 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთმტკიცება - "პერონის" შემცველი ფხვნილი და გრანულები 21.85 გრამი და იმავე ნივთიერების შემცველ გარნულების სახით - 16.17 გრამი, რომელიც 2008 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, უნდა განადგურდეს, ხოლო მისი აღსრულება დაევალოს დასახელებულ დეპარტამენტს.

მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. რ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ბრალდების ფორმულირებიდან გასაღების მიზნის ამორიცხვასა და სამართლიანი სასჯელის დანიშვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - ი. ჯ-ს, ი. პ-ს, ლ. ქ-ს, ე. ნ-ს ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოტივს და თვლის, რომ ნ. ჭ-ას ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი. კერძოდ, რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით ჩათვალა მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა და ასეთი ფორმულირება მსჯავრდებულს შეერაცხა სამართლებრივი შეფასების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან ნ. ჭ-ს მიმართ უნდა ამორიცხოს მითითება გასაღების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების შექმნა-შენახვაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამორიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს.

მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით უნდა მიესაჯოს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, ნ. ჭ-ას 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ გ. ა-ს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ გ. ა-ის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასალევის მიზნით შეძენასა და შენახვაზე.

მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

მსჯავრდებულ ნ. ჭ-ას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, ნ. ჭ-ას 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა

განჩინება

#815-აპ-09

18 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. გ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განაჩენით ვ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 9 წლით, ხოლო 273-ე მუხლით (2009 წლის 3 თებერვლისა და 12 თებერვლის ეპიზოდები) - 1-1 (ერთ-ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. გ-შვილი სასჯელს იხდის 2009 წლის 12 თებერვლიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა ექვმიტანილის სახით დაკავების დრო - 2009 წლის 5 თებერვლიდან 2009 წლის 7 თებერვლამდე, სულ - 2 დღე.

ვ. გ-შვილს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

გასაჩივრებული განაჩენით ვ. გ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გადაზიდვაში, იმის მიერ, ვისაც წინათ აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. მასვე მსჯავრი დაედო პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის და-

ნიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში (ორი ეპიზოდი), ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის განაჩენით ვ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვე და ვ. გ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის #767 განკარგულებით ვ. გ-შვილი შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვ. გ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ: 2009 წლის 3 თებერვალს ქ. ბათუმში ვ. გ-შვილმა დაუდგენელი პირისაგან პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ, მცირე ოდენობით შეიძინა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მოიხმარა ექიმის დანიშნულების გარეშე. 2009 წლის 5 თებერვალს ვ. გ-შვილი შემოწმდა შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ნარკოლოგიურ თრობაზე და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი.

2009 წლის 7 თებერვალს ვ. გ-შვილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს გამომძიებელმა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და იმავე დღეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 2500 ლარი. მიუხედავად ამისა, 2009 წლის 11 თებერვალს ქალაქ ბათუმში ვ. გ-შვილმა დაუდგენელი პირისაგან პირადი მოხმარების მიზნით, უკანონოდ ისევ შეიძინა მცირე ოდენობით „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიმახარა. 2009 წლის 12 თებერვალს ვ. გ-შვილი შეამოწმეს ქალაქ ზუგდიდის შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამმართველოს განყოფილებაში და მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი.

ვ. გ-შვილმა 2009 წლის 12 თებერვალს ქ. ბათუმში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, ვინმე „მურმანისაგან“ უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2, 5345 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი, 27 ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული, მოყავისფრო ფხვიერი მასა, რომელიც გადაზიდა ქ. ფოთში, საიდანაც 2 „ჩეკი“ - 0,1965 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ შეინახა შავი ფერის სპორტული შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში, ხოლო ე.წ. 25 „ჩეკი“ - 2, 338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ შეინახა ქ. ფოთში, ... ქ. #10-ში მდებარე თავისი ნათესავის, ნ. ტ-ავას საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, საუკუნო ოთახში განთავსებულ, ხის მაგიდაზე დაწყობილ ფიცრებს შორის. 2009 წლის 12 თებერვალს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქ. ფოთში, კ-თის ქუჩაზე, დააკავეს ვ. გ-შვილი. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მას სპორტული შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში აღმოაჩნდა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული - 0,1965 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც ამოღებულ იქნა, ხოლო ნ. ტ-ავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს ვ. გ-შვილის მიერ უკანონოდ შეძენილი, ქ. ბათუმიდან ქ. ფოთში გადაზიდული და შენახული, 25 ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული 2, 338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

აპელანტი - მსჯავრდებულ ვ. გ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-აია სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო სხვა, დანარჩენ ნაწილში - განაჩენის უცვლელად დატოვებას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით; მისი დაცვის ქვეშ მყოფი წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ; პოლიციელ უ-ძის პატაკი, რის საფუძველზეც დააკავეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი და დაიწყო გამოძიება, საქმეზე არ იყო დამაგრებული საპროცესო კანონმდებლობით, რის გამოც, საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის I ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული პატაკი, ისევე როგორც დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ყოფილიყო ცნობილი; პოლიციის თანამშრომლების - ლ. უ-ძის, დ. მ-ავასა და განსასჯელის ნათესავ - ნ. ტ-ავას ჩვენებები განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგაა, რაც არ შეიძლება საფუძველად დასდებოდა ვ. გ-შვილის მიმართ

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას. ამდენად, ვინაიდან საქმეში არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები პირის დამნაშავედ ცნობის თაობაზე, ადვოკატი საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის III ნაწილის საფუძველზე ითხოვდა, რომ ეჭვი გადაწყვეტილიყო განსასჯელის სასარგებლოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. გ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-აიამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ განაჩენი გამოტანილია საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით და ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ვ. გ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში საქმის წარმოებით შეწყვეტა, ხოლო დანარჩენ ნაწილში – განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ვ. გ-შვილის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის განაჩენით, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების: ლ. უ-ძის, დ. მ-ავას, პ. დ-შვილის ჩვენებებით, მოწმე ნ. ტ-ავას ჩვენებით, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ნარკოლოგიურ თრობაზე შემოწმების #328 და #346534 დასკვნებით, 2009 წლის 13 თებერვლის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ვ. გ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკების გადაზიდვის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მისი პირადი ჩხრეკისა და ნ. ტ-ავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის სუფთა წონაა -2,5345 გრამი, მას არ ეკუთვნოდა და თვლის, რომ იგი მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულის ადვოკატის - დ. ჯ-აიას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ვ. გ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში საქმის წარმოებით შეწყვეტის, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ, უსაფუძველობის გამო:

ვ. გ-შვილის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში - საქმის მასალებით არ დასტურდება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, უკანონო გადაზიდვისას ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ნებისმიერი მეთოდით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს პირის მიზანზე: თუ ნარკოტიკული საშუალების გადაადგილება ხდება სხვა ადგილზე მისი მოთავსების მიზნით, მაშინ ჩადენილია უკანონო გადაზიდვა, ხოლო თუ ასეთი მიზანი არ არსებობს - უკანონო შენახვა.

მსჯავრდებულმა ვ. გ-შვილმა სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში განაცხადა, რომ არის ნარკოტიკების მომხმარებელი და იგი სხვა მიზნით არასოდეს არ გამოუყენებია.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ

დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ვ. გ-შვილმა მოახდინა ნარკოტიკების უკანონოდ გადაზიდვა. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ვ. გ-შვილის მიერ ნარკოტიკების გადაზიდვის ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. გ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. გ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. ჯ-აიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. გ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#34-აპ

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ომხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის განაჩენით მ. თ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვა) 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 13 ნოემბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. თ-ს დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, მ. თ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,18 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული 0,1 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლებიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. თ-ის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

მ. თ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით - 0,1 გრამი, კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც უკანონოდ შეინახა ქ. ქ-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, მისაღებ ოთახში, ბავშვის პერანგის წინა ჯიბეში, საიდანაც 2007 წლის 14 ნოემბერს, გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკისას, ამოიღეს საქართველოს შსს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს მუშაკებმა.

მანვე, 2007 წლის 13 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკაში, წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა კუსტარული წესით დამზადებული, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ნაწილიც ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა, ნაწილი გაასაღა ლ. ლ-ზე, ხოლო დარჩენილი დიდი ოდენობით - 0,18 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, დაფასობული ერთ შეკვრად, უკანონოდ შეინახა სპორტული შარვლის უკანა ჯიბეში. იმავე დღეს უკანონოდ გადმოზიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის - სოფელ სარფის მონაკვეთამდე და სოფელ სარფში მდებარე სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში, რის შემდეგაც იქირავა თ. მ-ის კუთვნილი „მერსედეს-ბენც-190“ მარკის ავტომანქანა, და ზემოაღნიშნული 0,18 გრამი „ჰეროინი“ უკანონოდ გადმოზიდა ქ. ბათუმში, მდებარე საცხოვრებელ სახლამდე, რადროსაც იგი პოლიციის მუშაკებმა დააკავეს, ხოლო გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. თ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვის ეპიზოდი) 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღების ეპიზოდი) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების

აღკვეთა და ჯარიმა - 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 13 ნოემბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონს შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. თ-ს დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, სარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნვითმტკიცებად ცნობილი, მ. თ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული 0,18 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული 0,1 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლებიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებული მ. თ-ლი საკასაციო საჩივრით ითხოვს ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვის ბრალდების ნაწილში - დანაშაულთა ერთობლიობის ამორიცხვას და, შესაბამისად, სასჯელის დანიშვნას ერთი დანაშაულის ჩადენისათვის იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო, რადგან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდების ნაწილში სასამართლომ დამნაშავედ ცნო ყოველგვარი მამხილებელი მტკიცებულებების გარეშე და ეჭვი არ გადაწყვიტა მის სასარგებლოდ; საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ ნარკოტიკული საშუალება შეიძინა და შეინახა ორ სხვადასხვა ადგილას, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, რითაც ჩაიდინა ერთი (განგრძობადი) დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - გ. მ-ძის, რ. მ-ძის, თ. მ-ის, ნ. კ-ის, პ. ვ-ის, ლ. ლ-ლის ჩვენებით; 2007 წლის 13 ნოემბრის ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრევის ოქმებით; 2007 წლის 14 ნოემბერს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული მ. თ-ლის საცხოვრებელი სახლის ჩხრევის ოქმით; ქიმიური ექსპერტიზის #915 დასკვნით; 2007 წლის 13 ნოემბრის ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნით; ფარული სატელეფონო საუბრის ჩანაწერის კრებისათა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა მ. თ-მა ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის მითითებულ ნაწილში გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე ლ. ლ-ლის წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებას, კერძოდ: ლ. ლ-მა ექვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ თურქეთში, როდესაც ისხდნენ ტაქსში, მ. თ-ლი ვენაში იკეთებდა ნარკოტიკს, რა დროსაც მ-ს უთხრა, რომ მასაც უნდოდა ნარკოტიკის გაკეთება და იქვე, ტაქსში, მანაც გაიკეთა ნარკოტიკი.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე ლ. ლ-ის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე

დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ მ. თ-ის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მოწმე ლ. ლ-ის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის აღნიშნული ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ლი მსჯავრდების ამ ეპიზოდში დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და მას მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, იმ ოდენობით, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა მისი პირადი და საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკების შედეგად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, უნდა შეუმცირდეს სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. თ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ეპიზოდი) უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვის ეპიზოდი) - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები უნდა შეიკრიბოს და საბოლოოდ მ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა უნდა დაეწყო 2007 წლის 13 ნოემბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. თ-ს დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

გასაჩივრებული განაჩენიდან მ. თ-ის მიმართ ამოირიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე.

მსჯავრდებულ მ. თ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ეპიზოდი) განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვის ეპიზოდი) - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 2000 ლარი, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და საბოლოოდ მ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 21 (ოცდაერთი) წლით

თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 13 ნოემბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. თ-ს დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#63-აპ-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ბ-ძის, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. ხ-ძის, ი. ლ-იასა და მსჯავრდებულების - დ. გ-შვილის, ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით:

1. ე. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც მას სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 29 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 5 ივნისიდან.

ე. ბ-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

2. დ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 5 ივნისიდან.

3. ნ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 5 ივნისიდან.

დ. გ-შვილსა და ნ. გ-შვილს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ე. ბ-ძეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვაში, დიდი ოდენობით გასაღებასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში. იმავე განაჩენით დ. გ-შვილსა და ნ. გ-შვილს მსჯავრი დაედოთ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვაში.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წელს ე. ბ-ძე სამუშაოდ იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში, სადაც გაიცნო ნარკოტიკებით მოვაჭრე, ძიებით დაუდგენელი მამაკაცი. მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში ე. ბ-ძემ განიზრახა, წასულიყო თურქეთში, შეეძინა ნარკოტიკული საშუალება და საქართველოში უკანონოდ შემოეტანა შემდგომში მისი რეალიზაციისა და მოხმარების მიზნით. დანაშაულებრივი განზრახვა მან გაანდო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებლებს - ნ. გ-შვილსა და დ. გ-შვილს, რომლებსაც შეჰპირდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მათაც მისცემდა ნარკოტიკული საშუალების ნაწილს.

2008 წლის 3 ივნისს ე. ბ-ძე ჩავიდა ქ. სტამბულში, სადაც ნაცნობი მამაკაცისაგან უკანონოდ შეიძინა 4,643 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც შეიცავდა 2,7858 გრამზე მეტ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. მისი ნაწილი ე. ბ-ძემ ადგილზევე მოიხმარა, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 4,643 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი შეინახა მკერდის არეში, სამედიცინო ბინტსა და სხეულს შორის. მას დაზიანებული აქვს მარცხენა ლავიწის ძვალი, რის გამოც სამედიცინო ბინტით შეხვეული ჰქონდა მარცხენა ხელი და მკერდი.

მ/წლის 5 ივნისს ე. ბ-ძემ სარფის საბაჟო პუნქტის გავლით გადალახა თურქეთ-საქართველოს საზღვარი და საქართველოში შემოიტანა უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც შეიცავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,7858 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. ამის შემდეგ დაურეკა ნ. გ-შვილს, დ. გ-შვილს და სთხოვა, დახვედროდნენ ქარელის რაიონის სოფელ მ-სთან, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, სადაც მათ საჩუქრად გადასცემდა ნარკოტიკებს.

ე. ბ-ძე მობილური ტელეფონით, რომლის ნომერია 858 ... , დ. გ-შვილი ნომრით - 855 ... , ხოლო ნ. გ-შვილი ნომრით - 899 ... , მთელი დღის განმავლობაში სისტემატურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

დაახლოებით 22.40 საათზე თურქეთის რესპუბლიკიდან ქ. თბილისის მიმართულებით მიმავალ სამგზავრო ავტობუსში მყოფმა ე. ბ-ძემ სოფელ მ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნა ნ. გ-შვილის კუთვნილი, „ოპელ-ასტრას“ მარკის ავტომობილი, რის გამოც მძღოლს გააჩერებინა ავტობუსი, ჩავიდა, ჩაჯდა ზემოაღნიშნულ ა/მანქანაში და ნ. გ-შვილს საჩუქრად გადასცა, ე.ი. მასზე უკანონოდ გაასაღა 0,229 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,1374 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, ხოლო დ. გ-ვილს საჩუქრად გადასცა, ე.ი. მასზე უკანონოდ გაასაღა 0,382 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით - 0,2292 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“.

ე. ბ-ძის დანაშაულებრივი ქმედებები ცნობილი გახდა ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებისათვის, რომლებმაც მიმდინარე წლის 5 ივნისს, 22.45 საათზე, დააკავეს იგი და ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს მისგან ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შექმნილი, შენახული, გადაზიდული და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი 4,032 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,4192 გრამ ნარკოტიკულ საშუალება - „ჰეროინს“. პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს ასევე ნ. გ-შვილსა და დ. გ-შვილს, რა დროსაც მათგან ამოღებულ იქნა ე. ბ-ძის მიერ საჩუქრად გადაცემული ნარკოტიკული ნივთიერება - „ჰეროინი“.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - ე. ბ-ძემ, დ. გ-შვილმა, ნ. გ-შვილმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა.

მსჯავრდებულმა ე. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში გამართლება იმ მოტივით, რომ მას საქართველოში არ შემოუტანია ნარკოტიკული საშუალება, რაც სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა და უკანონოდ დასდო მსჯავრი ამ დანაშაულის ჩადენაში. რაც შეეხება მასზე ბრალად შერაცხულ აღნიშნულ დანაშაულებს, რაშიც მან თავი სავსებით ცნო დამნაშავედ, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ პირველად არის სამართალში, აღიარა და მოინანია ჩანადენი, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები, პენსიონერი, ავადმყოფი დედა, ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

მსჯავრდებულებმა - დ. გ-შილმა, ნ. გ-შილმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, მსჯავრდებულთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ პირველად არიან სამართალში, აღიარეს და მოინანიეს ჩანადენი, კმაყოფაზე ჰყავთ მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები, დ. გ-შილი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე, არც ერთ მათგანს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა და მათთვის მინიმალური სასჯელის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

დ. გ-შილსა და ნ. გ-შილს სასჯელად განესაზღვრათ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა: ე. ბ-ძემ, დ. გ-შილმა, ნ. გ-შილმა და ე. ბ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - შ. ხ-ძემ და ი. ლ-იამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულებმა - ნ. გ-შილმა და დ. გ-შილმა აღიარეს, მოინანიეს ჩადენილი დანაშაული და ითხოვეს სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

მსჯავრდებულმა ე. ბ-ძემ და მისმა ადვოკატებმა - შ. ხ-ძემ, ი. ლ-იამ ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ე. ბ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ნ. გ-შილისა და დ. გ-შილის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ე. ბ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. ხ-ძის, ი. ლ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება ნ. გ-შილისა და დ. გ-შილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, რადგან საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა მათ მიმართ ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მათ ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. რაც შეეხება ნ. გ-შილისა და დ. გ-შილის მიმართ დანიშნულ სასჯელს, პალატას მიაჩნია, რომ იგი თავისი ზომით, სიმკაცრის გამო, არ არის აშკარად უსამართლო. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულებს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულთა ქმედების სიმძიმეს, მათ პიროვნებას და თვისს, რომ ამჟამად დ. გ-შილისა და ნ. გ-შილისათვის სასჯელის შემსუბუქების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

პალატა ასევე არ ეთანხმება ე. ბ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. ხ-ძის, ი. ლ-იას მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ ე. ბ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ექვმიტანილთა დაკავების, პირადი ჩხრეკის, ამოღების ოქმებით, ბრალდებულთა დაკითხვის ოქმებით, მსჯავრდებულ ე. ბ-ძის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მსჯავრდებულების - დ. გ-შილისა და ნ. გ-შილის აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: ლ. ყ-შილის, ე. მ-შილის, ნ. მ-შილის, მ. ბ-შილისა და სხვათა ჩვენებებით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოსა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, 2008 წლის 7 ივნისის დადგენილებებით მსჯავრდებულებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი ცნობით, შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ნუსხითა და საქმის სხვა მასალებით ე. ბ-ძის, ნ. გ-შილისა და დ. გ-შილის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

ე. ბ-ძის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მოწმეების - ქარელის შს

რაიონული სამმართველოსა და საუბნო განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლების: ლ. ყ-შვილის, ე. მ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. ბ-შვილისა და სხვათა ჩვენებებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე 5 ივნისს, 22.45 საათზე, სოფელ მოხისთან, მომწვანო ფერის ა/მანქანა „ოპელ-ასტრაში“ დააკავეს ე. ბ-ძე, ნ. გ-შვილი, დ. გ-შვილი და პირადი ჩხრეკის დროს მათგან ამოიღეს ფხვნილი და გრანულები, რომელიც შემდგომი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება - „ჰეროინი“.

თავად მსჯავრდებულმა ე. ბ-ძემ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ 9 წელია ღებულობს ნარკოტიკს. 2008 წლის 3 ივნისს ავტობუსით წავიდა თურქეთში, სადაც ნაც-ნობი რეალიზატორისაგან 240 აშშ დოლარად შეიძინა 12 ცალად დაფასოებული „ჰეროინი“, 5 ივნისს იგი გადმოიტანა საქართველოს საზღვარზე, სადაც საბაჟო შემოწმებისას მესაზღვრეებმა ვერ აღმოუჩინეს. მობილური ტელეფონით, რომლის ნომერია 858 . . . , დაუკავშირდა ნ. გ-შვილსა და დ. გ-შვილს, სთხოვა დახვედროდნენ მანქანით სოფელ . . . -თან და რადგან იცოდა, რომ ისინი იყვნენ ნარკოტიკების მომხმარებელი, დაჰპირდა ნარკოტიკების საჩუქრად გადაცემას, რა დროსაც ისინი პოლიციამ დააკავა.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს ე. ბ-ძემ შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს ნარკოტიკული საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანაში. „იგი ნაცნობმა თურქმა სარფში, საჩაიე-კაფეში გადმომცა. რაც შეეხება გასაღებას, მე არ ვარ ნარკოტიკების გამსაღებელი, იგი მე დ-ს და ნ-ს ვაჩუქე, მათთვის იმაში ფული არ გამომირთმევია“.

ანალოგიური ჩვენება მისცეს მსჯავრდებულებმა - დ. გ-შვილმა და ნ. გ-შვილმა. მათ განაცხადეს, რომ ე. ბ-ძემ მათ ნარკოტიკი აჩუქათ, ფული არ გამოურთმევია. ნარკოტიკი პირადი ჩხრეკის დროს პოლიციამ ამოიღო მათგან.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ბ-ძის მიმართ საქმის აღძვრას საფუძველად დაედო ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მან 2008 წლის 5 ივნისს თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა ნარკოტიკული ნივთიერება, რის გამოც იგი იმავე დღეს დააკავეს ქარელის რაიონის ტერიტორიაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისად, „უკანონო შემოტანაში“ იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა საქართველოში, ე.ი. როდესაც პირი გადმოლახავს საქართველოს საზღვარს. თუმცა, როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიებისას ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა ე. ბ-ძის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ნარკოტიკის შექმნისა და საქართველოში მის უკანონოდ შემოტანის ფაქტს. ამ ნაწილში განაჩენი ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდს.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.“

სააპელაციო სასამართლოს ყურადღების გამახვილება ე. ბ-ძის აღიარებით ჩვენებაზე წინასწარ გამოძიებაში, არ შეიძლება საფუძველად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ამასთან, როგორც დავის მხარე აცხადებს, ე. ბ-ძის აღიარებითი ჩვენება განაპირობა არაკვალიფიციურმა დაცვამ, ასევე გამოძიებლის მხრიდან მოტყუებამ და ზეწოლამ, რის საფუძველზეც მასთან უნდა გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ე. ბ-ძის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტს.

პალატის აზრით, ე. ბ-ძის მიმართ საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, კერძოდ, წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიც-

ხავი საფუძვლების არსებობისას; სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ბრალდების მხარის მიერ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებები ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "სასამართლო განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად".

ამდენად, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ე. ბ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ე. ბ-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად დარჩეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 504-ე მუხლის III ნაწილის „ა“, 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - დ. გ-შვილისა და ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ე. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. ხ-ძისა და ი. ლ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ ე. ბ-ძის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ე. ბ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ე. ბ-ძეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად დარჩეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#157-აპ-09

24 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ნოემბრის განაჩენით ა. მ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" და 262-ე მუხლის IV ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე განაჩენით ე. მ-ოვი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" და 262-ე მუხლის IV ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 12 მარტიდან.

ე. მ-ოვის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა "ვაზ-21013", როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოიხნული საგანი, გადაეცა სახელმწიფოს.

ა. მ-ოვსა და ე. მ-ოვს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15-15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ შემდეგისათვის:

ა. და ე. მ-ოვებმა განიზრახეს, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ შეეძინათ, შეენახათ და საქართველოში უკანონოდ შემოეტანათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინი", მისი შემდგომი გასაღებისათვის. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ა. მ-ოვი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ე. მ-ოვს, რომელთანაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინი", წონით - 122,887 გრამი, საიდანაც ა. მ-ოვმა უკანონოდ შეინახა 37,57 გრამი "ჰეროინი", ხოლო დანარჩენი - 85,317 გრამი შეინახა ე. მ-ოვმა თავისავე ავტომანქანაში. 2008 წლის 12 მარტს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", საერთო წონით 122,887 გრამი, ა. მ-ოვმა, ე. მ-ოვთან წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ შემოიტანა საქართველოში საკონტროლო გამშვები პუნქტის - "წითელი ხიდის" გავლით.

2008 წლის 12 მარტს, 12:40 საათზე, გატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საკონტროლო გამშვები პუნქტის - "წითელი ხიდის" გადმოლაზხვისთანავე დააკავეს ა. და ე. მ-ოვები. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი და ე. მ-ოვის ავტომანქანის ჩხრეკისას, ა. მ-ოვის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინი", წონით - 37,57 გრამი, ხოლო ე. მ-ოვის ავტომანქანის საბარგულიდან - განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინი", წონით - 85,317 გრამი, სულ ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", საერთო წონით - 122,887 გრამი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. მ-ოვმა და ე. მ-ოვის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

ე. მ-ოვის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულის გამართლება, ხოლო მსჯავრდებულმა ა. მ-ოვმა აღნიშნა, რომ მის მიმართ დადგენილი განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინის" რაოდენობა ხელოვნურად არის გაზრდილი და ითხოვა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. მ-ოვმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ მას ნარკოტიკული საშუალება არასოდეს გაუყიდა, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, დაავადებულია ტუბერკულოზით და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ა. მ-ოვის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისთვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ, რადგან სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა ა. მ-ოვის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე - მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: საქართველოს შსს სოდის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების - ზ. წ-ლი-სა და გ. კ-შვილის ჩვენებებით, მსჯავრდებულების - ა. და ე. მ-ოვების ჩვენებებით, პირადი და ავტომანქანის ჩხრევის, ამოღების ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების #347317 და #347318 დასკვნებით, ქიმიური ექსპერტიზის #261/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ა. მ-ოვის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

ა. მ-ოვმა სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებით თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ ჯიბეში აღმოჩენილი ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა. ეს ნარკოტიკი ჩაუდეს პოლიციის მუშაკებმა. რაც შეეხება მანქანაში აღმოჩენილ 85 გრამ ნარკოტიკს, ა. მ-ოვმა აღიარა, რომ ეს ნარკოტიკი იყო მისი და ე. მ-ოვმა ამ ნარკოტიკის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან მან მანქანაში ნარკოტიკი მაშინ შეინახა, როდესაც ამ უკანასკნელს ეძინა.

აღნიშნულ ვერსიას პალატა ვერ გაიზიარებს. მოწმეების ჩვენებებით დადგენილია, რომ მ-ოვები დააკავეს მანქანის დამგრამდე და, ბუნებრივია, ა. მ-ოვი მანქანის საბარგულში, ბენზინის ავზის ქვეშ, ე. მ-ოვის "ძილის დროს" ნარკოტიკის "შენახვას" ვერ მოასწრებდა.

ა. მ-ოვის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში - ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის - საქართველოს შსს სოდი-ის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების - ზ. წ-ლისა და გ. კ-შვილის ჩვენებებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ ... მცხოვრები ა. და ე. მ-ოვები სისტემატურად ეწეოდნენ აზერბაიჯანიდან ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანას საქართველოში. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მათთვის ასევე ცნობილი იყო, რომ 2008 წლის 12 მარტს მათ ე. მ-ოვის კუთვნილი ავტომანქანით სასაზღვრო გამშვები პუნქტის - "წითელი ხიდის" გავლით უნდა შემოეტანათ ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინი". დაახლოებით 12.30 საათზე საქართველოს საზღვარი ფეხით გადმოკვეთა ა. მ-ოვმა, რამდენიმე წუთში ავტომანქანით საზღვარი გადმოკვეთა ე. მ-ოვმაც. ა. მ-ოვის მანქანაში ჩაჯდომისთანავე, ვიდრე მანქანა დაიძვრებოდა, ისინი დააკავეს. ადგილზევე ჩატარდა ა. მ-ოვის პირადი და ე. მ-ოვის ავტომანქანის ჩხრევა.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ".

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ა. მ-ოვი არის ნარკოტიკების გამსაღებელი. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ა. მ-ოვის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი უნდა გადაისინჯოს მსჯავრდებულ ე. მ-ოვის მიმართაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულების სასიკეთოდ, კერძოდ:

ა. და ე. მ-ოვების მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ამასთან, ა. მ-ოვსა და ე. მ-ოვს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით უნდა ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის I ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. მ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულების სასიკეთოდ, კერძოდ:

ა. მ-ოვისა და ე. მ-ოვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ა. მ-ოვსა და ე. მ-ოვს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.